ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 4 იანვარი, 2016 | №1 (6928) | ფასი: 50 თეთრი

ლია მუხაშავრია: „თეა წულუკიანი მოსამართლეებს არის გადაფოფრილი“

„იუსტიციის საბჭო დასაშლელია“

გვ.4

ვინ გადავა „ქართული ოცნებიდან“ ჩერნოვეცკის „ბედნიერ საქართველოში“

2016 წელი დაძაბული იქნება

გვ.4

ექსპერტები მომავალს აფასებენ

მურმან დუმბაძე: „ღარიბაშვილისგან პარტიის შექმნა გამორიცხულია“

გვ.2

„ივანიშვილმა კვირიკაშვილთან დისკუსია დაიწყო“

გვ.3

რამაზ საყვარელიძე: „ღარიბაშვილის გაშვების მექანიზმი არ ჩანს“

„ბევრი ვეხსია ტრიალებდა იმასთან დაკავშირებით, რომ ივანიშვილი წყვეტს ხალაც საკითხებს და ფაქტობრივად ერთ-ერთი მესიჯი, რომელიც იყო შეთავაზებული მაყურებლისთვის, გახდათ გარკვეული დისტანცირება ამა თუ იმ საკითხისგან, მით უმეტეს ისეთი საკითხისგან, როგორიცაა პრემიერის თემა. მან ხაზი გაუსვა, რომ პრემიერის შეცვლის დრო ღარიბაშვილმა თვითონ გადაწყვიტა“

საქართველო რელიგიური დაპირისპირების საფრთხის წინაშე დგას

გვ. 5

„ჩვენს შემოგარენში ცხოვრობენ როგორც შიიტები და სუნიტები, ასევე ვაჰაბიტები. ერთიანი და გრძელვადიანი გეგმის გარეშე მოქმედებამ შესაძლოა რომელიმე მეზობელთან უთიერთობა გაგვიოთელოს. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს ისლამური სახელმწიფო და ახლახან შექმნილი ისლამური არმია“

ISSN 1987-9385

ხორბლის ფქვილის ეტიკეტირება სავალდებულო გახდა

გვ. 6

ვინ გადავა „ქართული ოცნებიდან“ ჩერნოვეცკის „ბედნიერ საქართველოში“

შორენა მარსაგიშვილი

შექმნის თუ ახა ყოფილი პრემიერი პარტიას, ჰა შეცდომას უშვებენ თავისუფალი დემოკრატები, ვინ აპირებს „ქართული ოცნებიდან" ჩერნოვეცკის „ბედნიერ საქართველოში" გადასვლას? – ამ თემებზე „ახალ თაობას" პარლამენტის ვიცესპიკერი მურმან დუმბაძე ესაუბრება.

მურმან დუმბაძე: „ღარიბაშვილისგან პარტიის შექმნა გამორიცხულია“



– ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ირაკლი ღარიბაშვილს შეუძლია ახალი პარტიის შექმნა. ამას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა და ბევრი ფიქრობს, რომ ექსპრემიერი მართლაც შექმნის პარტიას. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

– მართალია, ბიძინა ივანიშვილი ამბობს, რომ ყოფილ პრემიერს პარტიის შექმნა შეუძლია, მაგრამ ეს ასე არ არის. ღარიბაშვილი ლიდერად არ დაბადებულა და პარტიის შექმნას ვერ შეძლებს.

– რა გაძლევთ იმის თქმის საბაბს, რომ ყოფილი პრემიერი ლიდერად არ არის დაბადებული?

– ამის თქმის საბაბს მისი 2-წლიანი პრემიერობა და „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეობა მაძლევს. ის პარტიული საქმიანობისთვის მზად არ არის. მე კარგად მახსოვს მის მიერ ჩატარებული „ოცნების“ აღმასრულებელი საბჭოს სხდომები. მას ძალიან მწირი წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ რას ნიშნავს პარტიული სტრუქტურა და ორგანიზაცია. ამის ნათელი მაგალითია ბათუმი. ასეთ პოლიტიკურად ანგაჟირებულ ქალაქში „ქართულ ოცნებას“ არც პარტიის ოფისი აქვს და არც საქალაქო ორგანიზაცია ჰყავს. ეს ფაქტი ცხადყოფს იმას, რომ ღარიბაშვილი სუსტი ორგანიზატორია.

ირაკლი ღარიბაშვილმა ვერ შეძლო, რომ პოლიტიკოსად ჩამოყალიბებულიყო და სწორედ ამ მიზეზის გამო ჩამოშორდა ხელისუფლებას.

– ბიძინა ივანიშვილი მასზე ამბობს, რომ ის ძლიერ სათადარიგო მოთამაშედ რჩება. სათადარიგო მოთამაშე კი ადრე თუ გვიან მაინც ებმება თამაშში.

– ვერაფრით ვერ გავიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ ღარიბაშვილი სათადარიგო მოთამაშედ რჩება. ივანიშვილმაც ძალიან კარგად იცის ეს.

– თუ იცის, აბა, რატომ თქვა, ძლიერი და წარმატებულიაო?

– ამით ის მოეფერა მის მიერ გაშვებულ პრემიერს. რაც შეეხება მის სათადარიგო მოთამაშეობას, ექსპრემიერი ასეთი არ არის და ეს მისი წასვლის შემდეგაც გამოჩნდა. საქართველოს მთავრობა 20 მინისტრისგან შედგება და არცერთმა მათგანმა არ მოისურვა, გაჰყოლოდა ექსპრემიერს.

– აუცილებელი იყო, რომ ვინმე გაჰყოლოდა?

– როცა პრემიერი თანამდებობას ტოვებს, როგორც წესი, მასთან ერთად მთავრობას რამდენიმე წევრი მაინც ტოვებს. როცა გუნდის მართვაზე გაქვს პრეტენზია, მაშინ გუნდიდან რამდენიმე წევრი უნდა გაიყოლიო. ეს ფაქტიც მის არალიდერობაზე მიუთითებს და მისგან პარტიის შექმნას არ ველოდები.

– აბა, სად წავა ღარიბაშვილი?

– ის 2 წლის განმავლობაში უმაღლესი თანამდებობის პირი იყო და გამოვრიცხავ, რაიმე პოლიტიკურ თანამდებობას დათანხმდეს. უფრო მგონია, რომ ის არასამთავრობო სექტორში გადაინაცვლებს და მისი არსებობა რამდენიმე კვირაში საქართველოს მოსახლეობას დაავიწყდება კიდეც.

– თქვენ ღარიბაშვილზე რაღაცნაირად ნიშნის მოგებით საუბრობთ. პარლამენტის ბოლო სხდომაზე, სადაც კვირიკაშვილის მთავრობას ნდობა გამოუცხადეს, მეოცნებეებს ექსპრემიერთან დააბარეთ, ჩემ სასარგებლოდ 1:0-ო.

– არ ვმალავ, რომ ცოტა ანჩხლი კაცი ვარ და სათქმელს პირდაპირ ვამბობ. გახსოვთ, როგორ გამრიცხეს „ქართული ოცნებიდან“? კოალიციიდან ჩემი გაშვების მიზეზი ღარიბაშვილთან უთანხმოება იყო.

– ეს უთანხმოება რის საფუძველზე წარმოიშვა?

– ხშირად ვსაუბრობდი იმაზე, თუ რას ნიშნავს სინამდვილეში სამართლიანობის აღდგენა. ვსაუბრობდი, თუ რა იყო ინიციატივა და პოლიტიკა. განსაკუთრებით ბევრს ვსაუბრობდი აჭარის თემატიკაზე. ამ რეგიონს ისეთი სუსტი პირველი პირი არ ახსოვს, როგორიც დღეს ჰყავს, ხოლო თუ ცენტრალურ მთავრობას ასეთი კაცი მოსწონს, ეს იმას ნიშნავს, რომ თავადაც არ ვარგა. აი, ამის გამო გამრიცხა მე ღარიბაშვილმა „ქართული ოცნებიდან“, ისიც მითხრა, პარლამენტის ვიცესპიკერობიდანაც გადაგაყენებთო. ეს იყო ჩვენი ბოლო საუბარი.

– არავინ გამოგსარჩლებიათ?

– ჩვენს საუბარს კახა კალაძე, ნოდარ ხადური და პოლიტსაბჭოს სხვა წევრები ესწრებოდნენ. ხმა არცერთ მათგანს არ ამოუღია. გამოსვლისას ღარიბაშვილს ვუთხარი, ბევრი მთავრობა გამოვიცვალე და შენც გამოგცვლი-მეთქი. 29 დეკემბრის სხდომაზე სწორედ ეს გავიხსენე და ამიტომ ვთქვი, რომ ჩემ სასარგებლოდ 1:0-ია. ის აღარ არის მთავრობის წევრი, ხოლო მე ვრჩები პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილედ.

ექსპრემიერს შეცდომები გამოუცდელობითაც მოუვიდა. ის ამ მაღალ თანამდებობაზე დაუმსახურებლად მოხვდა.

– დაუმსახურებლად რატომ მოხვდა?

– ასეთი მაღალი თანამდებობა რომ დაიკავო ადამიანმა, დიდი ხნის განმავლობაში უნდა იყო პოლიტიკაში, ოპოზიციაშიც ბევრი წელი უნდა გქონდეს გატარებული.

– ოპოზიციონერობა აუცილებელია?

– თუ ოპოზიციაში ყოფნის დროს კბილებიდან ოფლი არ გაქვს გამოდენილი, თანამდებობის სტატუსს კარგად ვერ გაითავისებ. ღარიბაშვილის შემთხვევაშიც ასე მოხდა. ივანიშვილმა დიდი შეცდომა დაუშვა, პოლიტიკიდან რომ წავიდა.

– თავად ამ ნაბიჯს გამართლებულად მიიჩნევს.

– გამართლებული როგორ არის? ხალხმა მას მიანიჭა უფლებამოსილება და მისი ხათრით აირჩია „ქარ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ინდოეთში საქართველოს ელჩი ლევან ნიჟარაძე გარდაიცვალა

ინდოეთში საქართველოს ელჩი ლევან ნიჟარაძე გარდაიცვალა. ინფორმაცია ამის შესახებ საქართველოს საგარეო სამინისტროს „ფეისბუქის“ გვერდზეა გავრცელებული.

– საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ინდოეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ლევან ნიჟარაძის გარდაცვალების გამო. ეს დიდი დანაკლისია ჩვენთვის – მისი კოლეგებისა და მეგობრებისთვის. ბატონი ლევანი, როგორც მაღალპროფესიონალი დიპლომატი, ორ ათწლეულზე მეტია, ემსახურება სამშობლოს. 2014 წლიდან იგი გახლდათ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ინდოეთის რესპუბლიკაში, აკრედიტებული ტაილანდის სამეფოში, შრი-ლანკის დემოკრატიულ სოციალისტურ რესპუბლიკაში, ნეპალის ფედერაციულ დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკაში. საგარეო საქმეთა სამინისტრო თანაგრძნობას უცხადებს ბატონი ლევანის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს, – ნათქვამია საგარეო უწყების განცხადებაში.

ნიუპოსტი

მაღალმთიანი რეგიონის მცხოვრებლებს სოციალური შეღავათები უნესდებათ

ახალი კანონი ძალაში შევიდა

2016 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა კანონი მაღალმთიანი რეგიონების შესახებ, რომლითაც მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა მთელი მთელი რიგი სოციალური შეღავათებით ისარგებლებენ.

მაღალმთიანი რეგიონების შესახებ კანონი საგადასახადო შეღავათების ნაწილში სრულად ამოქმედდება, რაც იმას გულისხმობს, რომ, არალიცენზირებადი საქმიანობის გარდა, ყველა ტიპის წარმოება გადასახადებისგან (გარდა დღგ-სა) გათავისუფლებული იქნება. ასევე ახალგაზრდა ოჯახების მხარდაჭერის მიზნით ასევე 1-ლი იანვრიდან ძალაში შევიდა პირველ და მეორე ბავშვზე ყოველთვიური დახმარების გადაწყვეტილება ანუ ამიერიდან ყველა ოჯახი მთაში, რომელსაც პირველი ან მეორე შვილი შეეძინება, ყოველთვიურ 100-ლარიან დახმარებას მიიღებს.

რაც შეეხება მაღალმთიანი რეგიონების შესახებ კანონით გათვალისწინებულ სოციალურ შეღავათებს, ის ძალაში 2016 წლის სექტემბრიდან შედის. კერძოდ, სექტემბრიდან სოფლის ექთნები 180-ლარიან დანამატს მიიღებენ, ხოლო სოფლის ექიმებისთვის გათვალისწინებულია 360-ლარიანი დანამატი. სექტემბრიდან ძალაში შედის სოციალური შეღავათები განათლების სფეროში და მაღალმთიანი რეგიონების პედაგოგები მიიღებენ საბაზისო დაფინანსებაზე 35%-დან 40%-მდე დანამატს. გარდა ამისა, მაღალმთიანი რეგიონების სკოლები ახალი სასწავლო წლიდან გაორმაგებულ ვაუჩერებს მიიღებენ. სოციალური შეღავათები გათვალისწინებულია მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები პენსიონერებისათვის, რომლებიც 2016 წლის სექტემბრიდან 216 ლარამდე გაზრდილ პენსიას მიიღებენ. სოციალური შეღავათები ასევე გათვალისწინებულია ელექტროენერგიის მოხმარების კუთხითა და გათბობით უზრუნველყოფისათვის.

მთავრობამ მაღალმთიანი დასახლებების ნუსხა 30 დეკემბერს გამართულ სხდომაზე დაამტკიცა და ეს სტატუსი 1582 დასახლებას მიენიჭა.

ნიუპოსტი

გრიგორი კარასინი: „უვიზო რეჟიმის სანაცვლოდ ქართულ მხარეს არავითარ მოთხოვნებს არ ვუყენებთ“

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინის განცხადებით, უვიზო რეჟიმის შემოღების სანაცვლოდ რუსეთი საქართველოსაგან არაფერს ითხოვს.

მან შესაბამისი განცხადება ქართულ ტელეკომპანია „სტარვიზიასთან“ სატელეფონო ჩართვისას გააკეთა.

– საქართველოს არავითარ მოთხოვნებს არ ვუყენებთ. მივიჩნევთ, რომ სავიზო რეჟიმის გაუქმების ეტაპობრივი მოძრაობა უკვე ტემპს იკრებს. გასაგებია, რომ ურთიერთობების სამომავლოდ განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობა დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაა. მოსკოვს ეს ურთიერთობები არ გაუწყვეტია. მათი გაწყვეტის მიზეზებიც ყველას კარგად გვახსოვს, როდესაც მიხეილ სააკაშვილმა გადადგა ეს ნაბიჯი. მაგრამ აღდგენის გზით მივდივართ და, როგორც ჩვენმა პრეზიდენტმა თქვა, თანასწორობის საფუძველზე სრულიად შესაძლებელია, სავიზო რეჟიმის გაუქმება, თუმცა აქამდე უნდა მივიდეთ. ახლა ამ გზას ვადგავართ, ამ საკითხზე ვმუშაობთ და ვიმედოვნებთ, რომ ეს ოდესმე რეალობად იქცევა, -– განაცხადა გრიგორი კარასინმა.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ივანიშვილმა კვირიკაშვილთან დისკუსია დაიწყო“

ნონა ცაბაძე

2015 წელი მოულოდნელი ცვლილებებით დასრულდა. ღარიბაშვილის გადადგომამ ბევრი კითხვის ნიშანი დატოვა საზოგადოებაში. ასევე საინტერესო მინიშნებები გააჟღერა ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა. მისი მესიჯების გაშიფვრას „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ექსპერტი, ფსიქოლოგი ჰამაზ საყვარელიძე შეეცადა.

– ბატონო რამაზ, საკმაოდ საინტერესო პროცესებით დასრულდა 2015 წელი. საზოგადოება ახლის მოლოდინშია. როგორია თქვენი შეფასებები? უნდა ველოდოთ ცვლილებებს მინისტრთა კაბინეტში?

– პირველ რიგში, მომილოცავს ახალი წელი ერთგული მკითხველისა და თქვენი თანამშრომლებისთვის. დაგეთანხმებით, უდავოდ საინტერესო ინტერვიუ იყო. შეიძლება ბევრი ფიქრის საფუძველს იძლევა ეს ინტერვიუ და შეიძლება ცოტა დაგვიანებულიც კი იყოს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ბევრი ვერსია ტრიალებდა იქამდე და მე მგონი ამ ვერსიებზე პასუხის სურვილმა მიიყვანა სტუდიაში ბიძინა ივანიშვილი.

– რა ვერსიებზე საუბრობთ?

– ბევრი ვერსია ტრიალებდა იმასთან დაკავშირებით, რომ ივანიშვილი წყვეტს რაღაც საკითხებს და ფაქტობრივად ერთ-ერთი მესიჯი რაც იყო შეთავაზებული მაყურებლისთვის, იყო გარკვეული დისტანცირება ამა თუ იმ საკითხისგან, მით უმეტეს ისეთი საკითხისგან, როგორიცაა პრემიერის თემა. მან ხაზი გაუსვა, რომ თუ როდის მოხდებოდა პრემიერის შეცვლა, ღარიბაშვილმა თვითონ გადაწყვიტა.

– ვითომ?

– მან ასე თქვა და ეს გასაგებს ხდის, თუ რატომ აღმოჩნდა გუნდი მოუმზადებელი ამ ცვლილებებისთვის იმ თვალსაზრისით, რომ მინისტრთა კაბინეტი იგივე დარჩა, აშკარად ვერ მოესწრო ამ კაბინეტის დაკომპლექტება სასურველი ხარისხით. თუმცა ხაზი ესმება ყველას მხრიდან, რომ მინისტრთა კაბინეტი აუცილებლად შეიცვლება. ეს უკვე გამორიცხავს მთელ რიგ ვერსიებს...

– რასთან დაკავშირებით?

– იმის თაობაზე, რომ ივანიშვილმა მიიღო გადაწყვეტილება ამ ცვლილებაზე. მან არათუ ამ ცვლილებაზე განაცხადა, არაფერ შუაში ვარო, არამედ ახალი პრემიერის კანდიდატურაც ითქვა, რომ არის მთლიანი გუნდის კანდიდატურა და არ არის ივანიშვილთან კონსულტაციების შედეგი.

ესეც საინტერესო ფაქტია, რადგან, რაც უფრო მეტად აღმოჩნდება პოლიტიკური გუნდი თავის გადაწყვეტილებებში დამოუკიდებელი, მით უფრო მალე დაღვინდება ეს გუნდი. დამოუკიდებლობას ადამიანი დამოუკიდებლობის პირობებში სწავლობს.

– თუმცა საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილში არის იმის განცდა, რომ ეს გადაწყვეტილება ერთპიროვნულად ბიძინა ივანიშვილმა მიიღო. მაშინ რატომ ჩნდება ასეთი განცდა ხალხში?

– ჯერ ერთი, ცუდად არის პიარის საქმე დაყენებული გუნდში. ის, რაც ივანიშვილმა განაცხადა, მკაფიოდ უნდა თქმულიყო, ახსნილიყო. ასევე ბუნდოვანი დარჩა ივანიშვილის განცხადებაშიც, თუ რატომ გადაწყვიტა ღარიბაშვილმა წასვლა.

– რა იყო მიზეზი?

– ჩვენი მხრიდან ტყუილი შრომა იქნება ვერსიის აგება იმაზე, რომ, დავუშვათ, რაღაცა მოხდა ივანიშვილსა და ღარიბაშვილის შორის.

– სიახლეებთან დაკავშირებით როგორია თქვენი დამოკიდებულება?

– კვირიკაშვილთან ივანიშვილმა დისკუსია დაიწყო ამ პირველივე ინტერვიუში. პრეზიდენტის თემაზე კვირიკაშვილმა ლოიალური განცხადება გააკეთა და ამ თემასთან დაკავშირებით დაიმსახურა ივანიშვილის კრიტიკა, რადგან ცნობილია დამოკიდებულება ივანიშვილსა და პრეზიდენტს შორის.

– ეს რაზე მიუთითებს?

– ეს პოზიტიური ფრაგმენტია და მიუთითებს პირველი პირების დამოუკიდებლობის საკმაოდ ნორმალურ და მაღალ ხარისხზე. არ არის გამორიცხული, რომ ჩვენ მოწმე ვხდებით „ქართული ოცნების“ წიაღში ახალი პოლიტიკური პროცესების ჩამოყალიბების და ეს პროცესები თავის თავს გამოავლენენ უფრო მოგვიანებით.

– კონკრეტულად რომელი მინისტრის შეცვლას ელოდებით?

– არ არის ჩემთვის ეს კითხვა ადვილი საპასუხო, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მინისტრების მუშაობა, საკმაოდ ბევრი ფენის შემცველია.

– თუმცა ეს ცვლილებები იქნება?

– აუცილებლად იქნება.

– ეს ყველაფერი გაკეთდა გუნდის გადასარჩენად და იმიჯის გამოსასწორებლად წინასაარჩევნოდ?

– ყველა სახელისუფლებო გუნდი გაცილებით მაღალი რეიტინგით მოდის და შემდეგ იკლებს მისი მხარდაჭერა. ყველა სახელისუფლებო გუნდს უდგას ის ამოცანა, თუ როგორ გააგრძელებს ბრძოლას მომავალი არჩევნებისთვის.

– რა იქნება ამ შემთხვევაში?

– ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ მისთვის გამოსავალი არის იმიჯის ცვლილება, ეს ტიპურია ყველა სახელისუფლებო პარტიისთვის არჩევნების წინ – მთავრობის შეცვლა.

– ღარიბაშვილის შესახებ რას იტყვით, მართლაც მოვა ის საკუთარი გუნდით პოლიტიკაში? ამაზე ივანიშვილმაც გააკეთა მინიშნება. მის მიერ გადადგმული ნაბიჯი ხომ არ იყო გაკეთებული მისი პოლიტიკური იმიჯის გადასარჩენად?

– ვერ ვიტყოდი, გადასარჩენად, რადგან გადარჩენა ითქმის იმ სიტუაციაზე, თუკი მას ექნებოდა რაიმე მძიმე კრიზისი იმიჯში. ასეთი მძიმე კრიზისი არ იყო.

– აბა, რა იყო?

– იყო ღიმილიანი, ნეიტრალური დამოკიდებულება. ინერციის პირობებში, ეს დამოკიდებულება გარკვეულ რეიტინგს მისცემდა. არა მგონია, გადარჩენა იყოს მისთვის ამოცანა. ჩემთვის ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება, კონკრეტულად რა მექანიზმმა გადაწყვიტა ეს ნაბიჯი. რა გახდა გადამწყვეტი.

– რა უნდა გამხდარიყო?

– ვივარაუდოთ, რომ ღარიბაშვილის ცვლილების საკითხი პოლიტიკოსების მსჯელობის საგანი იყო. თუმცა კითხვის ნიშანი ისევ არის, რატომ თოვლის ბაბუის მოსვლამდე და რატომ არა მას შემდეგ?! ეს არის გაუგებარი ღარიბაშვილისგან. რა იყო ის მოვლენა, რომელმაც ითამაშა ამ პროცესის კატალიზატორის როლი?! ეს ჩვენ არ ვიცით.

რამაზ საყვარელიძე: „ღარიბაშვილის გაშვების მექანიზმი არ ჩანს“

– უახლოესი მომავალი გამოაჩენს ამ პროცესს?

– ან ამას გამოაჩენს, ან რაიმე ახალს შემოგვთავაზებს. ამიტომ პოლიტიკოსებმა უნდა იცოდნენ, თუ რაიმეს დამალვა უნდათ, ყველაზე კარგი მეთოდი დამალვისა არის კარგი ტყუილი. ლოგიკური ტყუილი მაინც ეთქვათ, მათ არანაირი ვერსიები არ შემოუთავაზებიათ, ამიტომ დაიწყო ამდენი ლაპარაკი.

– საინტერესო პროცესები გველის არჩევნებამდე?

– იმედი ვიქონიოთ, რომ არ მოგვაწყენენ.

ვინ გადავა „ქართული ოცნებიდან“ ჩერნოვეცკის „ბედნიერ საქართველოში“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

თული ოცნება“. ის პრემიერად უნდა დარჩენილიყო. პოლიტიკიდან მის წასვლას დღემდე არასწორ ნაბიჯად მივიჩნევ. ასევე არასწორ ნაბიჯად მივიჩნიე პრემიერად ახალგაზრდა ღარიბაშვილის დანიშვნა. როდესაც ქვეყანას ასეთი გამოწვევები აქვს, არ შეიძლება, მაღალ თანამდებობაზე 30 წლის ახალგაზრდა დანიშნო.

არ მომწონს კვირიკაშვილის მიერ წარდგენილი საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე. რომელსაც რუსული განათლება აქვს მიღებული. მას დიპლომატიური აკადემია რუსეთში აქვს დამთავრებული.

– ამიტომ არ მოგწონთ საგარეო საქმეთა მინისტრი?

– მიხეილ ჯანელიძე არის 34 წლის ბიჭი, რომელსაც წარმოდგენა არ აქვს, თუ რა ხდება საერთაშორისო პოლიტიკაში. მაინცდამაინც „ქართული ოცნებიდან“ თუ უნდოდათ კანდიდატურის შერჩევა, თედო ჯაფარიძე იქ არ ჰყავდათ? საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ასევე თავისუფლად შეიძლებოდა, სალომე ზურაბიშვილი წარედგინათ. ორივე მათგანს დიდი გამოცდილება აქვს. 34 წლის ჯანელიძე კი ვერც ჯონ ქერის დაელაპარაკება და ვერც – სერგეი ლავროვს.

ბოლო 30 წლის განმავლობაში აშშ-ს 60 წელზე ნაკლები ასაკის საგარეო საქმეთა მინისტრი არ ჰყოლია. ამ თანამდებობას, წიგნიერი განათლების გარდა, ცხოვრებისეული სიბრძნეც სჭირდება. გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს და ღარიბაშვილის კრახიც მისი გამოუცდელობის ბრალია.

– რატომ ხართ ასეთი კატეგორიული, იქნებ ბრუნდება ექსპრემიერი პოლიტიკაში?

– არ დაბრუნდება. მან რომ კრახი განიცადა, ეს გიორგი კვირიკაშვილისთვის ნდობის გამოცხადების დროსაც გამოჩნდა. ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლების მიმართ დიდი კორექტულობით არ გამოირჩევა, მაგრამ მათ კვირიკაშვილს ერთი დეტალიც კი ვერ მოუძებნეს, რომლის გამოც საყვედურს ეტყოდნენ. ასე იმიტომ მოხდა, რომ ახალი პრემიერი უკვე დაბრძენებული ადამიანია და პოლიტიკური გამოცდილებაც აქვს. ღარიბაშვილისგან განსხვავებით, ის საქართველოს პარლამენტის წევრიც იყო.

– ისე ახასიათებთ ახალ პრემიერს, ეტყობა, ვერც თქვენ პოულობთ მის ბიოგრაფიაში რაიმე სასაყვედუროს.

– როგორ არ ვპოულობ. ის საკანონმდებლო ორგანოში მოქალაქეთა კავშირის სიით შევიდა. მოქკავშირის წევრობა ჩემთვის მიმზიდველი არ არის, მაგრამ ჩემთვის სხვა რამე არის მიმზიდველი. ძალიან მომეწონა მისი პასუხები, დიქცია და გამომეტყველება. ქართველ საზოგადოებას ლიდერებად სწორედ ასეთი ადამიანები სჭირდება.

– ასეთში რას გულისხმობთ?

– გაწონასწორებულობას. ქვეყნის გაერთიანება ასეთ ლიდერებს შეუძლიათ. 29 დეკემბერს პარლამენტის წინაშე კვირიკაშვილის ნაცვლად ღარიბაშვილი რომ წარმდგარიყო, დარწმუნებული იყავით, ის სხდომა მუშტი-კრივით დასრულდებოდა.

კვირიკაშვილი ჩემთვის იდეალი არ არის და არც მას მერე დამიწყია მისი ქება, როცა პრემიერი გახდა. იგივე „ახალი თაობისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მაქვს ნათქვამი, რომ პრემიერობა ყველაზე მეტად მას და დავით სერგეენკოს შეეფერებოდათ. ამას მანამდე ვამბობდი, ვიდრე ბიძინა ივანიშვილი თავის პოლიტიკურ მემკვიდრედ ექსპრემიერს დაასახელებდა.

– როგორც აღმოჩნდა, ახალმა პრემიერმა ბევრის გული მოიგო, იგივე თავისუფალი დემოკრატები ძალიან დაუტკბნენ მას. მათმა ლიდერმა ირაკლი ალასანიამ თქვა, რომ კვირიკაშვილის მთავრობას 100 დღის განმავლობაში არ გააკრიტიკებენ.

– ალბათ, აქვთ რაღაც სტრატეგია. მათ ნაცვლად მე ვერ ვილაპარაკებ. რამდენიმე დღის წინ თავისუფალმა დემოკრატებმა აჭარის რეგიონში ცუდი რამ ჩაიდინეს, რამაც მე ბევრი ეჭვი გამიჩინა.

– რა ჩაიდინეს ამისთანა?

– რამდენიმე დღის წინ აჭარის ბიუჯეტი ჩავარდა. აჭარის უმაღლეს საბჭოში „ქართულმა ოცნებამ“ უმრავლესობა დაკარგა და აქ სიტუაციას ოპოზიცია აკონტროლებს. ოპოზიციაში არიან თავისუფალი დემოკრატებიც. თავიდან მათ ხმა არ მისცეს ამ ბიუჯეტს. 30 დეკემბერს ბიუჯეტის პროექტი ხელახლა შემოიტანეს და მას თავისუფალმა დემოკრატებმა მხარი დაუჭირეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რაღაცები შეიცვლება.

– რა შეიცვლება? თქვენც ფიქრობთ, რომ შესაძლოა თავისუფალი დემოკრატები კოალიციაში დაბრუნდნენ?

– არ ვიცი, დაბრუნდებიან თუ არა. აჭარის მაგალითზე შემიძლია ვთქვა, რომ „ქართული ოცნება“ და თავისუფალი დემოკრატები ალიანსში არიან. მე ეს არ მაინტერესებს. ჩემ წინაშე სხვა ამოცანაა.

– რა ამოცანა?

– „ბედნიერ საქართველოსთან“ ერთად ძლიერ კონკურენციაში უნდა შევიდე „ქართულ ოცნებასთან“. მისი ლიდერი აქტიურად აპირებს წინასაარჩევნო პროცესებში ჩაბმას. მას შემთხვევით არ უთქვამს თავის თავზე, რომ ის სათადარიგო მოთამაშეა.

– დარწმუნებული ხართ, რომ ძირითადში დაბრუნდება?

– რაღაც დოზით ის უკვე დაბრუნებულია ძირითად შემადგენლობაში. ეს კი ქართულ პოლიტიკაში ახალი მოთამაშის, ჩერნოვეცკის გამოჩენას უკავშირდება.

– ჩერნოვეცკი რა შუაშია?

– პოლიტიკაში მის გამოჩენამდე, პრემიერობიდან წასვლის შემდეგ ივანიშვილს არასდროს უთქვამს, რომ „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის შედგენაში მიიღებდა მონაწილეობას. ის აღარც პოლიტსაბჭოზე ჩნდებოდა, მაგრამ, გამოჩნდა თუ არა ჩერნოვეცკი, ძალიან გააქტიურდა და ამბობს, რომ საარჩევნო პროცესებში ჩაერთვება. მის გააქტიურებას მართებულად მიიჩნევ. ივანიშვილი აცნობიერებს, რომ ჩერნოვეცკის სახით მისი ალტერნატივა გამოჩნდა.

– რატომ გგონიათ, რომ კიევის ყოფილი მერი ივანიშვილის ალტერნატივაა?

– ის საზოგადოების წინაშე ძალიან კარგი გუნდით წარდგება. ამის გარდა, ღია ადამიანი ვარ და ღიად ვიტყვი, რომ არჩევნებში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ფულს. ამ შემთხვევაში წესიერ და კანონიერ ფულზე ვსაუბრობ.

საქართველოში არსებულ პოლიტიკურ პარტიებს არამცთუ წესიერი, ფული საერთოდ არა აქვთ. ფულის ქონა იმიტომ კი არ არის საჭირო, რომ ამომრჩეველი მოისყიდო, ფული იმისთვის გჭირდება, რომ საარჩევნო პროგრამა დაწერო და ამომრჩეველს მიუტანო. პარტიას ფინანსური უზრუნველყოფა სჭირდება, ჩერნოვეცკის ეს შეუძლია. ამიტომაც შეშფოთდა ასე ძალიან ივანიშვილი.

– ზემოთ თქვით, საინტერესო გუნდით წარდგება „ბედნიერი საქართველო“ და შეგიძლიათ გვითხრათ, რა ხალხი იყრის თქვენ გარშემო თავს?

– ამ ხალხის ვინაობას ისევ ვერ დავასახელებ, იმას კი გავამხელ, რომ „ქართული ოცნების“ რამდენიმე ლიდერი დაინტერესებულია „ბედნიერი საქართველოთი“.

– მათი დაინტერესება რით გამოიხატება?

– მათ მე ყველაფერი გამომკითხეს. ამ ადამიანებთან პირადული საუბარი მქონდა და მათ ვინაობასაც ვერ დავასახელებ.

– ეს ადამიანები შეიძლება ვიხილოთ „ბედნიერ საქართველოში“?

– ვნახოთ, ვნახოთ. დაინტერესება ძალიან დიდია.

თავისუფალი დემოკრატები ხელისუფლებას საეჭვოდ დაუტკბნენ

ლია მუხაშავრია: „თეა წულუკიანი მოსამართლეებს არის გადაფოფრილი“

ნათია ხურცილავა

სამახითლის ექსპერტი, ადვოკატი ლია მუხაშავრია „ახალ თაობასთან" სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესებზე საუბრობს.

ლია მუხაშავრია:

– იუსტიციის უმაღლეს საბჭოში განვითარებული მოვლენები არ არის მხოლოდ პროფესიული წრეების აღშფოთების საგანი. სრულიად უცხო ადამიანები მხვდებიან ქუჩაში და თავიანთ აღშფოთებას გამოხატავენ. საზოგადოება თავის ნეგატიურ პოზიციას აფიქსირებს არა მხოლოდ ლევან მურუსიძის, არამედ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ათივე წევრის მიმართ, რომლებმაც მურუსიძე აირჩიეს.

მათ ამ არჩევანით დაამტკიცეს, რომ ეს ორგანო დასაშლელია. რასაკვირველია, მე იურისტი ვარ და რევოლუციისა და ძალადობის, უკანონობის მომხრე ვერანაირად ვიქნები, მაგრამ ეს საბჭო ნამდვილად დასათხოვია.

– როგორ, რა მექანიზმებით? ალბათ, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი.

– როგორ? ისევ და ისევ პარლამენტის მეშვეობით. თუ ამ პარლამენტს გამბედაობა და გონიერება ეყო, უნდა მიიღოს ცვლილებები საერთო სასამართლოების შესახებ კანონში, რომელიც განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესს.

ამ ორგანოს სახელიც კი სხვა უნდა ჰქონდეს, რადგან კანონში მომხდარი ცვლილების შედეგად ახალი ორგანო როგორც კი დაკომპლექტდება, დღევანდელ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უფლებამოსილება შეუწყდება. ეს არის ერთადერთი სამართლებრივი გზა და არა ის, რომ მართლა ფიზიკურად გაირეკონ ეს ადამიანები.

– საზოგადოების პროტესტი ამ საკითხზე, ზოგადად სასამართლო სისტემის რეფორმაზე, როგორც ჩანს, ძალას იკრებს. რამდენად იქნება ეს ბრძოლა შედეგიანი? თქვენ ამბობთ, რომ მთავარი სიტყვა პარლამენტმა უნდა თქვას.

– დიახ, აშკარაა საზოგადოების აღშფოთება, საზოგადოებამ თავისი დაკვეთა გასცა. ახლა ჯერი არის პარლამენტზე, იმ ორგანოზე, რომელიც სწორედ საზოგადოების მიერ არის არჩეული და ლეგიტიმაცია მიცემული. სწორედ საკანონმდებლო ორგანომ უნდა ინებოს კეთილი და მიიღოს საზოგადოების დაკვეთა.

პარლამენტმა ის კანონი უნდა შეცვალოს, რომლის საფუძველზეც მოხდა ამ ორგანოს დაკომპლექტება. ამ შემთხვევაში მოხდება იმ წევრების მიმართაც პასუხის გაცემა, რომელთაც შეარცხვინეს როგორც საკანონმდებლო ორგანო, ასევე მთელი საზოგადოება.

ახალი კანონმდებლობა უნდა შეიქმნას, რომელიც შეცვლის ამ ორგანოს დაკომპლექტების წესსა და პროცედურებს. ეს ხანგრძლივი პროცედურაა, ეს ცვლილებები ორგანულ კანონშია შესატანი, რომელსაც ხმათა უბრალო უმრავლესობა კი არა, კვალიფიციური უმრავლესობა სჭირდება.

„იუსტიციის საბჭო დასაშლელია“

– სასამართლო სისტემის რეფორმა, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო, ფორმალობა იყო თუ ობიექტური პრობლემები შეხვდა მას სისტემის მხრიდან?

– სასამართლო სისტემის რეფორმა ჯერ კიდევ 1997 წელს დაიწყო. სააკაშვილის ხელისუფლება სერიოზულად ერეოდა კანონმდებლობის ცვლილების კუთხით და ამას ნათლავდა რეფორმად და რეალურად ხდებოდა ის, რამაც მოგვცა ეს სისტემა მთელი შემადგენლობით.

რეფორმა გრძელდება, როგორც მოქმედი ხელისუფლება ოფიციალურად აცხადებს. თუ არ ვცდები, რეფორმის მეოთხე ტალღა არის. არსებული რეალობის გათვალისწინებით არანაირი პროგრესი არ ჰქონია წინა სამ ტალღას. არც ერთი სადისციპლინო დევნა არ აღძრულა, მიუხედავად იმისა, რომ გვყავს 215 პოლიტიკური ნიშნით დევნილი ადამიანი, სად არის აქ რეფორმა?!

ამ ადამიანების გამამტყუნებელ განაჩენებზე მე ხომ არ მომიწერია ხელი, ხელი ხომ ამ მოსამართლეებმა მოაწერეს, რომლებიც დღეს ისევ თანამდებობაზე არიან და, თუ არ არიან, მხოლოდ იმიტომ, რომ მოსამართლეობის ვადა გაუვიდათ, მათ შორის არის მურუსიძეც, რომელიც თავიდან იქნა არჩეული თითქმის სამუდამო მოსამართლედ. ასეთი მოსამართლეებით დაკომპლექტებული ინსტიტუტი ყველანაირად იცავს თავს და ყველაფერზე მიდის.

– იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების დებატები როდესაც იყო, მათ არგუმენტად მოიყვანეს, რომ მურუსიძეს სასამართლო კორპუსის მხარდაჭერა აქვს.

– ქალბატონმა გოცირიძემ თქვა, მურუსიძეს აბსოლუტური ნდობა აქვს მოსამართლეებისო, მაგრამ აბსოლუტური უნდობლობა რომ აქვს საზოგადოების, ამას არა უშავს? მათ რეალურად არგუმენტი არ აქვთ. ეს არგუმენტი კი კრიტიკას ვერ უძლებს.

მოსამართლეები იმიტომ ამართლებენ მურუსიძის არჩევას ხელახლა, რომ ის მათ შეჰპირდა, რომ არცერთ სადისციპლინო დევნას არ წამოიწყებდა. ეს პირობა მურუსიძის მხრიდან შესრულებული იქნა. სადისციპლინო პროცედურა კი არის ერთადერთი სამართლებრივი შესაძლებლობა მოსამართლის დათხოვნის, როდესაც ის არ არის მართალი კანონისა და საკუთარი შინაგანი რწმენის წინაშე.

ამ ფონზე საინტერესოა, სამიდღემჩიო მოსამართლედ დანიშვნის სურვილიც რომ მძლავრობს. ეს საზოგადოებას ძალიან საშიშ პერსპექტივას უქადის.

– კონკრეტულად?

– ამ ქვეყანას სასამართლო არ ეყოლება, არ ექნება მართლმსაჯულება და არც პერსპექტივა ექნება, თუკი ასეთი მოსამართლეები იქნებიან.

– მოსამართლეზე არ უნდა იყოს არანაირი ზეწოლა არც საზოგადოების მხრიდან, მაგრამ ეს ნიშნავს იმას, რომ ის ხელშეუხებელია თავის გადაწყვეტილებაში?

– არსად მთელ მსოფლიოში მოსამართლის ანგარიშვალდებულება თუნდაც საზოგადოების წინაშე არავის გაუუქმებია. საზოგადოებრივი აზრის წინაშე ასეთი უსინდისო დაპირისპირება, ასეთი უტიფრობა არავის დაუკანონებია. სასამართლო პირველ რიგში საზოგადოების ინტერესს ემსახურება. საზოგადოება მათ ხელფასს საკუთარი ჯიბიდან უხდის. ეს უნდა კარგად ახსოვდეთ. ისინი ისევე არიან ანგარიშვალდებულნი, როგორც სხვა საჯარო მოხელეები.

მოსამართლეების მიმართ ნდობა უნდა იყოს ისეთი მაღალი, რომ ჩვენ მათ არ უნდა ვთხოვდეთ ანგარიშს და უნდა ვენდობოდეთ მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, მაგრამ, როდესაც ვხედავთ, რომ არსებობენ ასეთი მოსამართლეები, მაშინ გვახსენდება, რომ ანგარიშვალდებულებაც არსებობს.

რა თქმა უნდა, კონკრეტულ გადაწყვეტილებაზე არ არის მოსამართლე საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული, მაგრამ ყველაფერი ისე უნდა იყოს გაწერილი მოსამართლის გადაწყვეტილებაში, რომ არავის დარჩეს კითხვები. კანონში არსებობს ანგარიშვალდებულების მექანიზმები, მაგრამ რეალურად ვინც ეს მექანიზმები უნდა გამოიყენოს, ის ადამიანები ხელს აფარებენ მოსამართლეთა კორპუსს და თვალს ხუჭავენ ნებისმიერ დარღვევაზე.

ამიტომ ეს მექანიზმი დღეს არ მუშაობს. ეს მექანიზმი ამუშავდა მაშინ, როდესაც უზენაესი სასამართლოს ყოფილი წევრები 2005 წელს თვითნებურად დაითხოვეს სასამართლო სისტემიდან.

– ქალბატონო ლია, იუსტიციის მინისტრმა პასუხისმგებლობა სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძეს დააკისრა.

– ეს არის პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევა. კანონები, საკანონმდებლო ცვლილება პარლამენტთან ერთად იუსტიციის სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს.

დღეს ჩიხური სიტუაცია იმიტომ შეიქმნა, რომ რეფორმა არც თავის დროზე დაწყებულა და არც დღეს გრძელდება კარგად, ისე, როგორც საჭიროა. ამიტომ არის თეა წულუკიანი ამ მოსამართლეებს გადაფოფრილი.

2016 წელი დაძაბული იქნება

ექსპერტები მომავალს აფასებენ

მარიამ მჭედლიშვილი

ახალ წელს საქართველო ვიზალიბერალიზაციის პერსპექტივით, სოციალური პრობლემებით, ახალი პრემიერ-მინისტრით, ძველი მთავრობითა და საპარლამენტო არჩევნების მოლოდინით შეხვდა.

არჩევნების მოახლოება თავისთავად ნიშნავს პოლიტიკურ დაძაბულობას, ამიტომ მოსალოდნელია ცხარე დებატები, კომპრომატების გამომზეურება, ახალი ბლოკების ჩამოყალიბება და საარჩევნო დაპირებები.

დაძაბულობას მოელიან უცხოელი ექსპერტები მთელ მსოფლიოშიც. საგარეო ფაქტორები გავლენას ახდენენ საქართველოზეც.

ამერიკელი ექსპერტი არიელ კოენი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებს წელს განსაზღვრავს ისლამური სახელმწიფო და ტერორიზმის საფრთხე. ტერორიზმთან საბრძოლველად საჭიროა კოალიციის შექმნა, თუმცა კოალიცია სიძნელეებს წააწყდება. ეს გამოწვეულია, ერთი მხრივ, უთანხმოებით ირანსა და რუსეთს შორის, მეორე მხრივ, დაპირისპირებით ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებსა და დასავლეთს შორის.

არიელ კოენი ევროპაში საიმიგრაციო კრიზისის გაგრძელებას ვარაუდობს და აცხადებს, რომ ზაფხულში ევროპას ლტოლვილთა ახალი ნაკადი მიაწყდება.

მისი თქმით, აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატი უფრო მკაცრია რუსეთის მიმართ, ვიდრე მოქმედი პრეზიდენტი ბარაქ ობამა, თუმცა ჰილარი კლინტონის გამარჯვებით ამ არჩევნებში ამერიკის პოლიტიკაში ცვლილებები არ მოხდება.

რუსეთის მიმართ დასავლეთის სანქციების გაგრძელებას პროგნოზირებს ამერიკელი ექსპერტი მეთიუ როჟანსკი.

მისი სიტყვებით, თუ რუსეთი არ შეიცვლის თავის დამოკიდებულებას ყირიმისა და აღმოსავლეთ უკრაინის მიმართ, შეზღუდვები არ შეწყდება.

ანალიტიკოსის აზრით, თუ ისლამურ სახელმწიფოსთან გამკლავება არ მოხდა, მსოფლიოს წალეკავს საერთაშორისო ტერორიზმის ახალი ტალღა. მისი სიტყვებით, აშშ-ის ახალ პრეზიდენტს შეიძლება ცივი ომის განახლება მოუხდეს. იგი ვარაუდობს, რომ წელს რუსეთსა და თურქეთს შორის ნდობა ვერ აღდგება, ევროპაში კი ახალი მიგრანტების მოზღვავება იქნება.

ევროპაში მოკლე ვადით უვიზოდ ჩავლენ საქართველოს ის მოქალაქეებიც, რომლებსაც ამის შესაძლებლობა აქვთ.

ევროპის კვალდაკვალ საქართველოს მოქალაქეებს სავიზო რეჟიმი გაუმარტივა რუსეთმაც.

სტატისტიკოსები წელს რუსეთში მიგრანტების შემცირებას ელიან. აზიისა და დასავლეთიდან რუსეთში სამუშაოდ ჩასულთა რაოდენობა 2015-შიც შემცირებული იყო.

ამის მიზეზად სახელდება მიგრაციული კანონმდებლობის გამკაცრება, ასევე – კრიზისული მოვლენები ეკონომიკაში. მაგალითად, სავალდებულო გახდა რუსული ენის გამოცდის ჩაბარება და გაიზარდა ყოველთვიური პატენტის გადასახადი, რომელსაც ძირითადად ნაკლებად კვალიფიციური შრომითი მიგრანტები თავიანთი საქმიანობისთვის იხდიან.

ბოლო პერიოდში რუსეთში განსაკუთრებულად შემცირდა უცხოელების რაოდენობა ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან და აზერბაიჯანიდან. ამასთან, ცხოვრების დონე მხოლოდ აზერბაიჯანშია გაუმჯობესებული.

რუსეთი დატოვეს ასევე კვალიფიციურმა კადრებმა კანადიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ფინეთიდან.

სპეციალისტების დასკვნით, შრომითი მიგრანტების კლება ნეგატიურად აისახება შრომითი ბაზრის განვითარებაზე.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

რუსებმა გალში დამატებითი ძალები გადმოისროლეს

რუსმა ოკუპანტებმა გალში დამატებითი ძალები გადმოისროლეს. მათ გალის რაიონის დაბალი ზონისა და ზედა ზონების სოფლებთან ოკუპაციის ხაზის გაკონტროლება დაევალათ. როგორც ცნობილია, მათ აფხაზური ადმინისტრაციის გამგებლისგან აქვთ ქართველი ოჯახების სიები, რომლებიც ქართული მობილური ქსელებით სარგებლობენ.

როგორც ადგილობრივები ამბობენ, სამხედროებს სწორედ ამ მობილურების ამოღება დაევალათ.

– საშინელი მდგომარეობაა. მოსახლეობა, ვისაც გალიდან ზუგდიდის ბაზარში პროდუქტი მიჰქონდა გასაყიდად დააკავეს. პროდუქტი ყველას წაართვეს. ნაწილი, ვინც გაფრთხილების საფუძველზე გაათავისუფლეს, ნაწილი რუსების ბაზაზე გადაიყვანეს. თუმცა ზუგდიდიდან გალში პროდუქტი, რაც მათ სჭირდებათ, გადის. გუშინაც ზუგდიდიდან გალში გავიდნენ პურის ფქვილით, შაქრითა და ბოსტნეულით დატვირთული ავტომობილები. მოსახლეობა დახმარებას ითხოვს, თუმცა ხელისუფლებიდან არავინ გვეხმაურება, – ამბობენ ადგილობრივები.

ნიუპოსტი

საქართველო რელიგიური დაპირისპირების საფრთხის წინაშე დგას

შორენა მარსაგიშვილი

ვის ინტერესებშია საქართველოში რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება, რას მოგვიტანს ისლამური არმიის შექმნა, ვინ აგებს პასუხს ფონიჭალაში რელიგიურ ნიადაგზე მომხდარ მკვლელობაზე?

ამის შესახებ „ახალ თაობას“ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტი ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

ზაალ კასრელიშვილი:

– ახალი წლის დღეებში ნამდვილად არ მინდოდა ხალხის დაზაფვრა, მაგრამ საქმე რთულად არის. ქართველები ისეთი ხალხი ვართ, რომ მხოლოდ დამდგარ შედეგზე ვახდენთ რეაგირებას, შედეგი კი უკვე სახეზეა. ამ დღეებში რელიგიურ ნიადაგზე საქართველოში, სოფელ ფონიჭალაში, მოხდა მკვლელობა.

23 წლის ფიქირათ ახმედოვი თანასოფლელმა რამინ ისაევმა მოკლა. ადგილობრივების თქმით, მკვლელობა რელიგიურ ნიადაგზე მოხდა. ოფიციალური ინფორმაციით, მკვლელობას წინ ვაჰაბიტ მუსლიმებსა და სოფლის რელიგიურ უმრავლესობას, ტრადიციული ისლამის მიმდევრებს შორის დაპირისპირება უძღოდა.

ადგილობრივები ამბობენ, რომ ახმედოვს რადიკალური ისლამის მიმდევრებმა პასუხი იმ ინფორმაციის გამო მოსთხოვეს, რომელიც მედიასაშუალებით გაუშუქდა. საბედისწერო ინტერვიუში ახმედოვი ამბობდა, რომ სოფელში ვაჰაბიტები ერთ-ერთი სახლის სარდაფში იკრიბებოდნენ.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ადგილობრივებმა ვაჰაბიტების სამლოცველოს დახურვისა და გაუქმების მოთხოვნით ადგილობრივ და ცენტრალურ მთავრობას არაერთხელ მიმართეს, რამდენჯერმე შეაგროვეს ხელმოწერებიც, რომლებიც ამ დრომდე უპასუხოა.

– რატომ არ მოახდინა ხელისუფლებამ ფონიჭალის მოსახლეობის მოთხოვნაზე რეაგირება?

– ვერ გეტყვით. ამაზე ხელისუფლებამ უნდა გაგვცეს პასუხი. ჩვენ ჩვენი მხრიდან ყველაფერი გავაკეთეთ, რომ ასეთი რამეები თავიდან ყოფილიყო აცილებული.

– სხვა დროსაც ჰქონდა ასეთ დაპირისპირებას მცდელობა?

– რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირების პროვოცირებას რამდენიმე წლის წინ ჰქონდა ადგილი და ეს კონფლიქტიც ქვემო ქართლში მოხდა.

– მაშინაც ისლამის მიმდევრები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს?

– ერთმანეთს ქართველი სუნიტები და აზერბაიჯანელი შიიტები დაუპირისპირდნენ. ქვემო ქართლის რეგიონში აჭარიდან ეკომიგრანტები არიან ჩასახლებული. ამ ეკომიგრანტებით დასახლებული სოფლის მოსახლეობასა და აზერბაიჯანელებს შორის საძოვრების გამო წარმოიშვა კონფლიქტი. ვითარება ისე გამწვავდა, რომ ამ სოფლების მცხოვრებლები ერთმანეთს უვარდებოდნენ. ამ საქმეში მაშინვე ჩავერიეთ და სიტუაცია განვმუხტეთ.

ჩვენ არაერთხელ განგვიცხადებია, რომ

საქართველოს ხელისუფლებას დიდი ხნის წინ უნდა გაეკეთებინა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც რელიგიურ ნიადაგზე საფრთხეების პრევენციულ ღონისძიებებსაც მოიცავდა. არაერთხელ განგვიცხადებია, რომ უნდა არსებობდეს ქვეყნის თავდაცვის ეროვნული დოქტრინა, რომელიც ასევე გაითვალისწინებდა ამ პრობლემებს. ჩვენ არაერთხელ შევთავაზეთ წინა პრემიერს ეთნორეგიონული პოლიტიკის კონცეფცია. ეს სამი რამ დოკუმენტის სახით უნდა შექმნას სახელმწიფომ და მათ საფუძველზე უნდა დაიწყოს მოქმედება. ერთიანი გეგმის გარეშე მოქმედება შესაძლოა სამეზობლო პოლიტიკისთვის საზიანო იყოს.

– სამეზობლო პოლიტიკაში რა პრობლემები შეიძლება შეგვექმნას?

– ჩვენს შემოგარენში ცხოვრობენ როგორც შიიტები და სუნიტები, ასევე ვაჰაბიტები. ერთიანი და გრძელვადიანი გეგმის გარეშე მოქმედებამ შესაძლოა რომელიმე მეზობელთან ურთიერთობა გაგვირთულოს. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს ისლამური სახელმწიფო და ახლახან შექმნილი ისლამური არმია.

ცოტა ხნის წინ 35-მა ისლამურმა სახელმწიფომ, მათ შორის თურქეთმა, ყატარმა და საუდის არაბეთმა, შექმნეს ერთიანი არმია. ასეთი რამ მას შემდეგ, რაც სალადინმა მუსლიმები გააერთიანა, დაამარცხა ჯვაროსნები და იერუსალიმს დაეუფლა, აღარ მომხდარა. ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა და მას საქართველოს ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა მიაქციოს ყურადღება.

– ისლამური არმიის შემადგენლობაში თურქეთიც შევიდა. ნატოს წევრ ქვეყანას შეუძლია სხვა ალიანსში შესვლა?

– აქ ცოტა სხვა რაღაცასთან გვაქვს საქმე და, არა მგონია, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ამის გამო თურქეთს პრობლემები შეუქმნას.

– ისლამური არმიის შექმნის მიზანი რა არის?

– ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა. ისეთი ძლიერი არმია იქმნება, რომ ხალიფატს გაანადგურებენ.

– და ისინი შექმნიან ახალ ხალიფატს?

– არა, ახალ ხალიფატს არ შექმნიან, მაგრამ მათი სახით აუცილებლად გაჩნდება ახალი ძლიერი მოთამაშე, რომელიც აუცილებლად მიუჯდება საერთაშორისო მაგიდას და ტორტის ნაჭერს მოითხოვს.

– რა შეიძლება მოითხოვოს ისლამურმა არმიამ?

– ამას მომავალი გვიჩვენებს. ამ არმიის შექმნით რუსეთსაც და ირანსაც სერიოზული პრობლემები შეექმნებათ და ყველანაირ პროვოკაციას უნდა ველოდოთ. საქართველოს ხელისუფლებას ახლა გაათმაგებული ყურადღება მართებს. აქ პატარა უყურადღებობაც კი შესაძლოა საბედისწეროდ დამთავრდეს. ამასთან, ჯერ არ ვიცით, როგორ გაგრძელებას ჰპოვებს ფონიჭალაში მომხდარი მკვლელობა. გვეეჭვება, რომ ამან ასე ჩაიაროს. მომხდარ ტრაგედიაზე ჩვენ პასუხისმგებლობას კრიზისების მართვის ცენტრს ვაკისრებთ.

– ის რა შუაშია ამ მკვლელობასთან?

– იმ შუაშია, რომ მას ეკისრება ასეთ თემებზე რეაგირება. ამის გარდა, 2 წლის წინ ჩვენ სწორედ ამ ცენტრის წარმომადგენლებს გავატანეთ ირაკლი ღარიბაშვილთან უსაფრთხოების კონცეფცია, სადაც ასეთი დაპირისპირებების პრევენციაზე იყო საუბარი. კრიზისების მართვის წევრები დაგვპირდნენ, რომ მოხდებოდა მისი განხილვა, მაგრამ ვერც მათ და ვერც წინა პრემიერმა ამისთვის ვერ მოიცალეს, შედეგად კი რელიგიურ ნიადაგზე მომხდარი მკვლელობა მივიღეთ.

არავის ვაშინებ, მაგრამ უკვე დროა, რაღაც ზომები მივიღოთ. კიდევ ერთხელ გეუბნებით, ისლამური არმია სერიოზულად შეცვლის ვითარებას. ეს რომ ასე იქნება, ამაში რამდენიმე დღის წინ საუდის არაბეთში მომხდარი ფაქტიც მარწმუნებს.

2 იანვარს საუდის არაბეთში ტერორიზმის ბრალდებით გასამართლებული შეიხი ნიმრ ბაქრ ალ ნიმრი 46 მსჯავრდებულთან ერთად სიკვდილით დასაჯეს. სიკვდილით მასობრივი დასჯა რეგიონში რელიგიურ ნიადაგზე არსებულ დაპირისპირებას კიდევ უფრო გაამწვავებს.

ირანის სულიერი ლიდერი აიათოლა ალი ჰამენეი ამის გამო საუდის არაბეთს დაჰპირდა, რომ მას ალაჰის სახელით სასჯელი ელის. მანვე შიიტი სასულიერო მოღვაწე წამებულად მოიხსენია და განაცხადა, რომ იგი მშვიდობიანი ხერხებით ცდილობდა თავისი მოძღვრების ქადაგებას ხალხში. ჰამენეის აზრით, ნიმრი მისი ოპოზიციური გამონათქვამების გამო დასაჯეს, რადგან იგი ოფიციალური ხელისუფლების შეხედულებას არ ეთანხმებოდა.

მისიონერის დასჯით აღშფოთებულმა ირანელებმა საუდის არაბეთის საელჩოს ცეცხლი მოუკიდეს. ეს დაპირისპირება ასე არ ჩაივლის და ამაში რუსეთიც ჩაერთვება. საქართველოში რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება ბევრ ვინმეს აწყობს. მათ შორის არიან რუსეთი, თურქეთი, ირანი, ხალიფატი და ისლამური არმია.

– აქედან გამომდინარე, შეგიძლიათ იმის თქმა, რომ საქართველო რელიგიური დაპირისპირების ზღვარზეა?

– ზღვარზე ნამდვილად არ არის, მაგრამ ამ მიმართულებით სერიოზული საფრთხე ემუქრება. დაინტერესებული მხარეები შეეცდებიან, რომ ერთმანეთთან დააპირისპირონ სუნიტები და შიიტები, ასევე უნდა ველოდოთ დაპირისპირებას სუნიტებსა და ვაჰაბიტებს, შიიტებსა და ვაჰაბიტებს შორის.

საქართველოში ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტს აღარ ველოდები. ეთნიკური კონფლიქტები დღეს საინტერესო აღარ არის. ახლა მსოფლიოში სენსორული თემები ტერაქტები და რელიგიურ ნიადაგზე მიმდინარე დაპირისპირებებია. ასე რომ, წინ რთული პროცესები გველოდება. ამისგან დაზღვეული არცერთი ქვეყანა არ არის, სადაც მუსლიმები ცხოვრობენ.

დავით ნარმანია: „საბავშვო ბაღებში ნაცმოძრაობის ოფისები იყო განთავსებული“

დედაქალაქის მერ დავით ნარმანიას განცხადებით, განათლების ხელმისაწვდომობისა და ხელშეწყობის მიზნით დარეგულირდა სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში აღსაზრდელთა რეგისტრაციის პროცედურები.

როგორც ნარმანიამ ბრიფინგზე აღნიშნა, საბავშვო ბაგა-ბაღების შენობებში ნაციონალური მოძრაობის ოფისები იყო განთავსებული.

– ეს პროცესი დასრულდა, ახლა მიმდინარეობს 7 ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა და მომავალ წელს იგეგმება კიდევ 10 საბავშვო ბაგა-ბაღის აშენება. 106 საბავშვო ბაგა-ბაღში ჩატარდა სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. დაემატა 80 ახალი ჯგუფი და დამატებით 3500 ბავშვის მიღება შევძელით, რაც 10 საბავშვო ბაღის ტოლფასია, – აღნიშნა დავით ნარმანიამ.

თბილისის მერმა 2016 წლის გეგმების შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ 2016-ში კვლავ პრიორიტეტებად რჩება ინფრასტრუქტურის განვითარება, განათლება, ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, გამწვანების ღონისძიებები.

დავით ნარმანია:

– რაც შეეხება ჯანდაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფას, 2016 წლის ბიუჯეტში, გარდა არსებული ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამებისა, გათვალისწინებულია ახალი პროგრამების დაფინანსებაც, მათ შორის, ჰერცეპტინის პროგრამის დაფინანსება, ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პირთათვის მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მომსახურების მიწოდება, ასევე, 500 000 ლარია გამოყოფილი ახალი პროგრამისთვის, რომელიც ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განვითარების ხელშეწყობისთვის ორთოპედიული პათოლოგიების სკრინინგსა და აღდგენით თერაპიას მოიცავს.

* * *

მისივე ინფორმაციით, 2016 წლის ბიუჯეტში განათლების ხელშეწყობის მიმართულებით გამოყოფილია 95,1 მლნ. ლარი, რაც 2015 წლის მაჩვენებელზე 2 მლნ. 500 ათასი ლარით მეტია. აღსანიშნავია, რომ გაზრდილია სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსება, პროგრამას დაემატება ქალაქ თბილისის მერიის ხელოვნების სკოლებში იძულებით გადაადგილებულ მოსწავლეთა უფასო სწავლება.

– ამასთან, შევიმუშავეთ წარმატებული სტუდენტების წახალისების პროგრამა, რომელიც მაგისტრატურის მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებისთვის თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ სტიპენდიის გადაცემას გულისხმობს. თბილისის მერია სწავლას უფინანსებს სოციალურად დაუცველ სტუდენტებს, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

მედიანიუსი

სააკაშვილი: „აუცილებლად გამოგაცლით ხელიდან ამ მშვენიერ ქვეყანას“

– მე ხშირად მესმის და მეუბნებიან, რომ – წადი, გაეთრიე შენს სამშობლოშიო. მე გეუბნებით, უკრაინა არაა თქვენი მეწველი ძროხა, ჩვენ აუცილებლად გამოგაცლით ხელიდან ამ მშვენიერ ქვეყანას და დავუბრუნებთ იმ ხალხს, ვისაც იგი ეკუთვნის! – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა ანტიკორუფციულ ფორუმზე გამოსვლისას.

– უკრაინა ყველაზე ღარიბი ქვეყანა არ უნდა იყოს ევროპაში. უკრაინა ყველაზე მდიდარი ქვეყანაა ევროპაში რესურსების მხრივ და პირველ რიგში, ადამიანების რესურსის მხრივ. უკრაინას აქვს შესაძლებლობა, იყოს ყველაზე რეფორმატული ქვეყანა ევროპაში. ჩვენ უნდა გავწმინდოთ უკრაინა. ჩვენი მიზანია, ყოველ უკრაინელს მივცეთ შანსი, რასაც ჩვენ აუცილებლად მივაღწევთ და მაშინ ნათელი დაისადგურებს ამ ქვეყანაში, რაშიც მე სრულიად დარწმუნებული ვარ! – განაცხადა სააკაშვილმა.

მისი თქმით, რევოლუციისათვის საჭიროა შემდეგი ნაბიჯები: „საგადასახადო რევოლუცია, გადასახადების მკვეთრი შემცირება, გადასახადების ადმინისტრირების სრული ცვლილება, ადმინისტრაციული რევოლუცია – რადიკალური შემცირება ბიუროკრატიის. მასიური დაქირავება სამართლიანი კადრებისა, ყველა თანამდებობაზე, ყველა სახელმწიფო სერვისი ერთ სივრცეში, რადგან ხალხმა არ ირბინოს წინ და უკან.

– ამ სამსახურებში ღიმილით უნდა ემსახურებოდნენ ხალხს. საბაჟო რევოლუცია, რომლის განხორციელებასაც ვცდილობთ ოდესაში, ტოტალური პრივატიზაცია, რათა შემცირდეს სახელმწიფო ჩინოვნიკების კონტროლი. ბიზნესპროცედურების კორუფციასთან ბრძოლის ფართო ფრონტი, საომარი სისტემის ნატოს რეგულაციების შესაბამისად განხორციელება დაჩქარება – ესაა ის ყველაფერი, რის შესახებაც უნდა ვისაუბროთ. ეს უნდა განხორციელდეს ახალი კადრებით, უკრაინაში კი ელიტა შერჩა თანამდებობებზე, ბოლო 25 წლის განმავლობაში ერთი და იგივე ხალხია, ისინი მხოლოდ საზოგადოებას კი არა, ერთმანეთსაც ყელში ჰყავს ამოსული, ამიტომაცაა, რომ ისინი სულ ჩხუბობენ ერთმანეთში. – განაცხადა სააკაშვილმა.

აიპრესი

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

ხორბლის ფქვილის ეტიკეტირება სავალდებულო გახდა

ერთ-ერთი სიახლე, რომელიც ბიზნესისთვის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში, ხორბლის ფქვილის ტექნიკური რეგლამენტია.

რეგლამენტის მიხედვით, ფქვილის ეტიკეტირება სავალდებულო იქნება. კერძოდ, პურის ეტიკეტზე უნდა იყოს დატანილი წარწერა, რომელზეც მითითებული იქნება ფქვილის შემადგენლობა და ხარისხი. ამის წყალობით მომხმარებელი სრულყოფილ ინფორმაციას მიიღებს, თუ რა შემადგენლობისაა პროდუქტი, რომელსაც მოსახლეობის რაციონში უპირველესი ადგილი უკავია.

რა ცვლილებებს გამოიწვევს ეს ხორბლისა და პურის ბაზარზე? ხომ არ მოიმატებს პურისა და პურპროდუქტების ფასი?

მე-4 პურის ქარხნის დირექტორი, პურპროდუქტების ასოციაციის თავმჯდომარე მალხაზ დოლიძე აცხადებს, რომ ზაფხულში ტექნიკური რეგლამენტი შემოღებული არ იყო, მაგრამ ფქვილი მაინც გააძვირეს. შედეგად, პურპროდუქტების მწარმოებლები შით უყურებენ იმას, რომ ეს ცვლილება ვინმემ სათავისოდ არ გამოიყენოს.

– 37-ლარიანი ფქვილი ჯერ 44 ლარი გახდა, მერე კი მხოლოდ 1 ლარით დაიკლო. დიდი შიშით ვუყურებთ, რომ ეს ცვლილება ვინმემ სათავისოდ არ გამოიყენოს და ფქვილი არ გაგვიძვირონ, თორემ თავისთავად კარგია – ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი ხარისხის გასაუმჯობესებლად. მთავარია, ეს რეგლამენტი ვიღაცების მიერ სათავისოდ არ იქნას გამოყენებული, – აცხადებს დოლიძე.

რეგლამენტის შემოღებას ნორმალურ მოვლენას უწოდებს საქართველოს ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის თავმჯდომარე ლევან სილაგავა და აცხადებს, რომ ეტიკეტირება დიდ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული და ფქვილის ფასზეც ვერ იმოქმედებს.

– ეტიკეტირება 1 სექტემბერს უნდა შემოსულიყო. რამდენიმე თვეში ძალაში პურის ტექნიკური რეგლამენტიც შევა და ეს ყველაფერი პურპროდუქტების ბაზარს უფრო გამჭვირვალეს გახდის, – აცხადებს სილაგავა.

ის ამბობს, რომ ფქვილის მწარმოებლებს ხარისხობრივი მაჩვენებლები ისედაც დაცული აქვთ, შესაბამისად, ეტიკეტირებას აქამდეც აკეთებდნენ, პროდუქციის სახელი, გამოშვების ვადა და ხარისხი ფქვილის ტომრებს ახლაც აწერია.

– უბრალოდ, მომავალში შეფუთვაზე უფრო ამომწურავი ინფორმაცია იქნება დატანილი. ეტიკეტირება დიდ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული და ფქვილის ფასზეც ვერ იმოქმედებს. ტექნიკური რეგლამენტი ბაზრის მოწესრიგებას შეუწყობს ხელს იმიტომ, რომ შიგთავსში რაც არის, ტომარას გარეთაც ის უნდა ეწეროს, – აღნიშნავს სილაგავა.

სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე

მენაშენეთა ასოციაცია: „ვალუტის რყევამ ცუდად იმოქმედა“

ინტერვიუ მენაშენეთა ასოციაციის ხელმძღვანელ ირაკლი როსტომაშვილთან

– როგორი იყო 2015 წელი სამშენებლო სექტორისთვის?

– ცოტა რთული შესაფასებელია, რადგან ვალუტის რყევამ ცუდად იმოქმედა დარგზე. გაყიდვების კუთხით რთული მდგომარეობა იყო. იყო ჩავარდნებიც, გამოცოცხლებაც, თუმცა, საერთო ჯამში, ვალუტის დევალვაციამ დარგზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. სექტორის განვითარება პირდაპირ არის დამოკიდებული ქვეყნის განვითარებაზე. ამ სექტორზე პირდაპირ აისახება ხალხის მატერიალური მდგომარეობა.

– არსებულმა მდგომარეობამ ხომ არ შეაფერხა ინვესტიციების შემოსვლა?

– ინვესტორი არის ადამიანი, რომელმაც ფული უნდა ჩადოს და შემდეგ მოგება მიიღოს. როცა ინვესტორი ხედავს, რომ ქვეყანაში ფინანსური პრობლემებია, თავს იკავებს. ადამიანს, რომელსაც 3.000 ლარი ჰქონდა ხელფასი და გადაწყვეტდა, რომ ბინა ეყიდა, ყიდულობდა განვადებით, თვეში იხდიდა 600 დოლარს ანუ 1000 ლარს, დღეს მას ეს სესხი გაუძვირდებოდა 300 ლარით. შესაბამისად, ამ პრობლემამ მსყიდველობითუნარიანობის შემცირება გამოიწვია.

– თუ მოხდა რამე კონკრეტული მოვლენა, თუნდაც საკანონმდებლო, რომელმაც დარგის ან განვითარებას შეუწყო ხელი, ან შეაფერხა? საუბარი იყო სამშენებლო ამნისტიაზე.

– არაფერი მნიშვნელოვანი არ მახსენდება. სამშენებლო ამნისტია რეალურად არც ამოქმედებულა. მიზეზი არ ვიცი. შემოსავლების სამსახური იხილავს და ჯერჯერობით არაფერი ისეთი გადაწყვეტილება მიღებული არ არის. ეს გაურკვევლობა კი ცუდია. გაჭიანურდა ეს პროცესი. მუშაობა მიმდინარეობდა ასევე სამშენებლო კოდექსზე, რომელიც ჯერ ძალაში არ შესულა.

– 2016 წელს რა მოლოდინი გაქვთ?

– მოლოდინი მაქვს, რომ რაღაც უკეთესი მოხდება ამ ქვეყანაში, მაგალითად, სამართლიანობასთან დაკავშირებით მდგომარეობა გამოსწორდება, ბევრ რამეს ველოდები.

კომერსანტ.გე

გიორგი სამანიშვილი: „ჩვენი მიზანია, რთველის სუბსიდირება აღარ იყოს“

ინტერვიუ ღვინის სააგენტოს ხელმძღვანელ გიორგი სამანიშვილთან

– როგორი იყო 2015 წელი ღვინის სექტორისთვის?

– 2015 წელი პოზიტიური იყო, მიუხედავად იმისა, რომ 2014 წელთან შედარებით ექსპორტის მიმართულებით კლება ფიქსირდება. 2015 წელი გამორჩეული იყო იმით, რომ რუსეთში მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობის და უკრაინაში განვითარებული პროცესების გამო, ამ ქვეყნებში ექსპორტი ძალიან შემცირდა. მიუხედავად ამისა, მიმდინარე წელს ზრდა დაფიქსირდა სხვა ბაზრებზე. მიუხედავად პრობლემებისა, ყაზახეთში ექსპორტი სტაბილურად იზრდება. ექსპორტი იმატებს ჩინეთის, პოლონეთისა და ბალტიის ქვეყნებში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ წელს ავითვისეთ ახალი ბაზრები, კანადა, იაპონია და აშშ.

– რუსეთისა და უკრაინის ბაზრებზე ექსპორტის შემცირება ამ სამმა ქვეყანამ დააბალანსა?

– რუსეთი და უკრაინა ძირითადი ბაზრები იყო. ამიტომ ექსპორტის მაჩვენებლები რაოდენობრივად შემცირებულია. ბაზრების დივერსიფიცირება მოხდა. ქართული ღვინო გადის 50 ქვეყანაში, თუმცა, სტრატეგიულად მნიშვნელოვნად რჩება ის ბაზრები, რომლებიც დარგმა ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა. ეს არის ჩინეთი, პოლონეთი, დიდი ბრიტანეთი და აშშ. ამ ბაზრებზე 2016 წელსაც აქტიურად გაგრძელდება მუშაობა.

– 2016 წელს რომელ ბაზრებზე გაკეთდება აქცენტი და ქართული ღვინის ექსპორტი რა მაჩვენებლებზე უნდა გავიდეს?

– 2016 წელს იქნება 4 ბაზარი. ეს მარკეტინგულ სტრატეგიაშიც არის განსაზღვრული. გარდა ამისა, ჩვენ მომავალ წელს მივიღებთ ყველა პრესტიჟულ გამოფენაში მონაწილეობას. კომპანიებს ღვინის ეროვნული სააგენტო დაეხმარება მონაწილეობის მიღებაში. 2016 წელს გარკვეულ ბაზრებზე გაყიდვების შენარჩუნება იგეგმება, მაგალითად, უკრაინის ბაზარზე. ამ კუთხით გარკვეულ ღონისძიებებს ვგეგმავთ.

რა ოდენობის ღვინო გავა ექსპორტზე, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მდგომარეობა იქნება საექსპორტო ბაზრებზე. წინასწარ რთულია პროგნოზის გაკეთება.

– 2016 წელს მარკეტინგული ხარჯების დაფინანსება 2015 წელთან შედარებით რამდენითაა გაზრდილი?

– ლარში ბიუჯეტი იქნება იგივე, რაც იყო 2015 წელს.

– როგორ შეაფასებთ რთველის მიმდინარეობას? წარმატებული იყო თუ არა და თუ არსებობდა გარკვეული სახის ხარვეზები?

– წინა წლების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეს პროცესი იხვეწება. მიუხედავად იმ დაძაბულობისა, რაც კახეთში იყო, წელს ყველაზე წარმატებული რთველი იყო. წელს პირველად სახელმწიფომ მოახერხა და არ ჩაერია ფასწარმოქმნაში, რაც მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ფასი ხარისხის მიხედვით განისაზღვროს. მნიშვნელოვანია, რომ წელს უხარისხო ყურძნის წახალისება არ მომხდარა.

– მომავალში რთველის სუბსიდირება უნდა იყოს თუ არა? იგეგმება სახელმწიფოს სუბსიდიიდან მთლიანად გასვლა, შეძლებს სექტორი სუბსიდიის გარეშე არსებობას?

– ჩვენი მიზანია, რომ დარგში სუბსიდია აღარ იყოს, რადგან ეს მიდგომა მხოლოდ ასუსტებს დარგს. 2016 წელს იქნება თუ არა სუბსიდირება, ამას მთავრობა გადაწყვეტს. ეს გადაწყდება ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესაბამისად ანუ რამდენი იქნება მოსავალი და რამდენი იქნება მოთხოვნა ყურძენზე. საშუალო საბაზრო ფასს როდესაც დავიანგარიშებთ, უკვე შემდეგ მიიღებს მთავრობა გადაწყვეტილებას.

სახელმწიფოს მიზანია, რომ სუბსიდირება არ იყოს, თუმცა, თუ ამის აუცილებლობა დადგა, მთავრობა გარკვეულ ჩარევებს მაინც განახორციელებს.

კომერსანტ.გე

თამბაქო მნიშვნელოვნად გაძვირდა – მარლბორო – 8 ლარი, პარლამენტი – 10 ლარი

ფილიპ მორისის სიგარეტზე ფასმა საგრძნობლად მოიმატა. ახალი წლის დღეებში მარლბორო – 8 ლარი, ხოლო პარლამენტი – 10 ლარი გადახდა. „კურიერის“ ინფორმაციით, ფასის ზრდის მიზეზებს არ აკონკრეტებენ.

თავად მომხმარებლები „ნიუპოსტთან“ ადასტურებენ, რომ ორივე დასახელების სიგარეტი დეფიციტშია და ახალი წლის დღეებში მისი შეძენა ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. საკანონმდებლო ცვლილებით თანახმად, 2016 წლის 1 იანვრიდან ფილტრიან სიგარეტზე აქციზის განაკვეთი 15 თეთრით, უფილტროზე კი 5 თეთრით გაიზარდა. ფასის ზრდის სხვადასხვა მიზეზებზეც საუბრობენ, გავრცელებული ინფორმაციით კომპანია ომეგას დისტრიბუციის უფლება ჩამოერთვა, რაც ფასის მატების ერთერთ მიზეზად სახელდება.

გასულ წელს სიგარეტზე ფასის მატებას ფინანსთა სამინისტრო აქციზის გაზრდით ხსნიდა. უწყების განცხადებით, აქციზის გაზრდა ევროკავშირის კანონმდებლობის გათვალისწინებით მოხდა, ამასთან, ის თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური საშუალებაა, სახელმწიფო სტრატეგიის მიზანი კი თამბაქოსგან გამოწვეული ჯანმრთელობისა და სოციალური ზიანის შემცირებაა.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ასოცირების ხელშეკრულება გარკვეულწილად გვავალდებულებს აქციზის პოლიტიკის განვითარებას, „იმპერიალ ტობაკოს“ კორპორატიულ საკითხთა დირექტორი კავკასიაში ირაკლი ნადარეიშვილი „ნიუპოსტთან“ განმარტავდა, რომ ადვალორული კომპონენტის შემოღებისთვის საქართველოს 5-წლიანი დროს აქვს მიცემული და, მისი თქმით, გაუგებარია, რატომ მოხდა საკითხის დაჩქარებულად მიღება. ირაკლი ნადარეიშვილი მიიჩნევს, რომ აქციზის გაძვირება უნდა იყოს შეფასებული რეგიონულ კომპლექსში და მან კონტრაბანდის გაჩენის შესაძლებლობა არ უნდა გამოიწვიოს.

ნიუპოსტი

თურქულ გემებზე ქართველი მეზღვაურების დასაქმება გამარტივდება

თურქული დროშის ქვეშ მცურავ გემებზე ქართველი მეზღვაურების დასაქმება გამარტივდება. ეს შესაძლებელი გახდა საქართველოსა და თურქეთს შორის მეზღვაურთა კომპეტენციის სერტიფიკატების ორმხრივი აღიარების თაობაზე ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერის შედეგად, რომელიც გაფორმდა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის შესაბამისი კონვენციის ფარგლებში.

აღნიშნული მემორანდუმზე ხელმოწერა უმნიშვნელოვანესი ისტორიულ მოვლენაა ორი ქვეყნის საზღვაო ადმინისტრაციების ურთიერთობისთვის, მიღებული შედეგი საშუალებას აძლევს ქართველ მეზღვაურებს, დასაქმდნენ თურქული დროშის ქვეშ მცურავ 600-მდე საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართულ გემებზე.

მემორანდუმზე ხელმოწერა შედგა თურქეთში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დელეგაციის ვიზიტის დროს. დოკუმენტს ხელი მოაწერეს

აღნიშნული სააგენტოს დირექტორმა კაპიტანმა მამუკა ახალაძემ და თურქეთის ტრანსპორტის, საზღვაო საქმეებისა და კომუნიკაციების სამინისტროში შემავალი საზღვაო საქმეებისა და შიდა წყლების გენერალური დირექტორატის ხელმძღვანელმა ბატონმა მეჰდი გონულალჩაკმა.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი შეხვდა თურქეთის რესპუბლიკის ტრანსპორტის, საზღვაო საქმეებისა და კომუნიკაციების მინისტრის მდივანს კაპიტან ოზკან პოირაზს. მისი უშუალო ინიციატივით, ჩართულობითა და ხელშეწყობით მოხერხდა ზემოაღნიშნული მემორანდუმის გაფორმებაზე თურქეთის მხრიდან პოზიტიური გადაწყვეტილების მიღება.

სააგენტოს დირექტორმა დიდი მადლობა გადაუხადა ოზკან პოირაზს იმ უდიდესი მხარდაჭერისთვის, რომელსაც ის ბოლო 5 წლის განმავლობაში აქტიურად გამოხატავს ზოგადად საქართველოს საზღვაო დარგისა და განსაკუთრებით ქართველი მეზღვაურების მიმართ. სააგენტოს დირექტორმა ოზგან პორიაზი საქართველოში 2016 წლის სექტემბერში დაგეგმილ საერთაშორისო საზღვაო ფორუმში მონაწილეობის მისაღებად საპატიო სტუმრის სტატუსით ოფიციალურად დაპატიჟა.

ნიუპოსტი

რა უნდა ვიცოდეთ საკვებით მოწამვლის დროს

კვებითი ტოქსიკოინფექციები ანუ სალმონელოზი კუჭ-ნაწლავის მწვავე დაავადებაა. მიმდინარეობს გასტროენტერიტის სინდრომით. ზოგადად მოწამვლას ძირითადად ინფიცირებული ხორცეული საკვების მიღება იწვევს.

სალმონელოზის გამომწვევი ბაქტერიები გავრცელებულია ცხოველებში. მათ ურთიერთ ანტიგენური ნათესაობა აქვთ, გრამუარყოფითები არიან, მოძრაობის უნარი აქვთ, კარგად იზრდებიან ჩვეულებრივ საკვებზე.

სალმონელების ტიპი მისი ზრდის, ბიოქიმიური ნიშნების მიხედვით ერთმანეთისგან განსხვავდება.

ინფიცირებული საკვები, ძირითადად ხორცეული, მოხვდება კუჭში, სადაც იწყება კუჭის წვენის ზემოქმედებით მათი მასობრივი განადგურება, ვითარდება მოშხამვის სურათი. დამტკიცებულია, რომ სალმონელების გარკვეული ნაწილი იხოცება და ორგანიზმი თავისუფლდება. სალმონელების დაშლის შედეგად გამოთავისუფლებული ენდოტოქსინის ნაწილი შეიწოვება კუჭის ლორწოვანაში, დანარჩენი კი წვრილი ნაწლავების საშუალებით შეიწოვება, რის შედეგად ვიღებთ კვებით ინტოქსიკაციას.

სალმონელები პათოგენური ბაქტერიებია, ისინი შეიძლება ორგანიზმში იყვნენ, შესაბამისი გარემოში მოხვედრის შემდეგ „ამოქმედდნენ“ და გამოიწვიონ დაავადება.

კვებითი ტოქსიკოინფექციების ინკუბაციური პერიოდი 6-12 საათს უდრის, შეიძლება ის 3-4 საათი გაგრძელდეს. არის შემთხვევები, როცა 1-3 დღე გრძელდება. კლინიკური მიმდინარეობის მიხედვით სალმონელოზის რამდენიმე ფორმა არსებობს:

1. ყველაზე გახშირებულია ლოკალიზებული ფორმის ტოქსიკოინფექციები. ამ ფორმით 70-75% ავადდება. დაავადება მძაფრად, მაღალი სიცხით იწყება, ახასიათებს გულისრევა, შებერვა, ტკივილი ეპიგასტრიუმის არეში, შემცივნება, ძლიერი ფაღარათი, მადა ეკარგება, ენა შელესილია. ავადმყოფი ფერმკრთალია, შეიძლება სახეზე წამოწითლდეს, გონებას არ კარგავს. დაავადება 1-3 დღემდე გაივლის. ამ დროს არტერიული წნევა დაწეულია.

იშვიათად, მაგრამ არის შემთხვევები, ბაქტერიებით გამოწვეული ტოქსიკოინფექციები, რომელიც ხშირად მწვავე გასტროენტეროკოლიტში გადადის.

2. გენერალიზებული ფორმა – ძალიან წააგავს მუცლის ტიფს. დაავადებას გასტროენტერიტი ახასიათებს. სიცხე მაღალია, ენა შელესილი, 2-3 დღის შემდეგ იწყება ფაღარათი და იმატებს მუცლის შებერვა, დიდდება ელენთა და ღვიძლი, ავადმყოფს ეწყება თავის ტკივილი, პულსი შენელებულია. დაავადებას თითქოს თან ერთვის ბრონქიტი და ბრონქოპნევმონია. მწვავე მდგომარეობა შეიძლება 6-12 დღე გაგრძელდეს. ავადმყოფური პროცესი შეიძლება 3-6 კვირამდე გახანგრძლივდეს. ამ დროს იწყება ოფლიანობა, ნერვული სისტემის მოშლილობა, ადინამიით, ბოდვით. არ არის გამორიცხული მენინგოენცეფალიტის ნიშნებიც გამოვლინდეს.

3. სალმონელოზის ბაქტერიომატარებლობა შედარებით მსუბუქი ფორმაა და იგი მხოლოდ ლაბორატორიული გამოკვლევების შემდეგ შეიძლება გამოვლინდეს.

4. ნოზოპარაზიტული ფორმა სუპერინფექციაა, რომელიც სხვადასხვა ინფექციურ დაავადებებს თან ერთვის. ბუნებრივია, მძიმდება ავადმყოფის მდგომარეობაც. სუპერინფექციის დროული გამოვლინება ავადმყოფს ძლიერი გართულებებისგან იცავს.

* * *

კვებითი ტოქსიკოინფექციების გამოცნობა ძნელი არ არის. მათთვის დამახასიათებელია მწვავე სიმპტომატიკა. ზოგჯერ არის (ერთი და იგივე საკვებით) ჯგუფური მოწამვლები. შესწავლილი უნდა იქნას საკვები ულუფა, რითაც მოხდა ინფიცირება. კვებითი ტოქსიკოინფექციების დროს არ მიმართავენ ექიმს და ავადმყოფი მკურნალობის გარეშე რჩება. მძიმე ფორმა სასწრაფოდ მოითხოვს გადაუდებელ ჩარევას. დაავადების გამოვლენიდან 6-8 საათის განმავლობაში უნდა მოხდეს კუჭის ამორეცხვა. საჭმელი სოდის ხსნარი, მინერალური ან თუნდაც სასმელი, ოდნავ შემთბარი წყალი ერთ-ერთი საშუალებაა კუჭის შიგთავსისგან გასათავისუფლებლად. ამორეცხვის პროცედურა, ბუნებრივია, უსიამოვნოა, მაგრამ 2-3-ჯერ მაინც უნდა გავიმეოროთ, კუჭის საბოლოო გათავისუფლებამდე. ექიმის ჩარევა აუცილებელია. თუ ვერ ახერხებთ ექიმთან მისვლას, გამწვავების თავიდან ასაცილებლად მიიღეთ შემდეგი სახის ხსნარი: 1 ლიტრ ადუღებულ და გაციებულ წყალში გახსენით 1 სუფრის კოვზი მარილი, 1 სუფრის კოვზი შაქარი და 2 სუფრის კოვზი სოდა, სრული გახსნის შემდეგ დაამატეთ ლიმონმჟავა, უმნიშვნელო რაოდენობით. შეგიძლიათ აღნიშნული ხსნარი რამდენიმე ლიტრიც მიიღოთ, არ გავნებთ, ორგანიზმის გაწმენდაში მოგეხმარებათ.

თუ გახანგრძლივებული ფაღარათი გჭირთ, მიიღეთ თანაბარი რაოდენობით შაქრისა და მაწვნის ნარევი (1:1), რამდენიმე კოვზის მიღებაც შედეგს მოგცემთ.

კვებითი ტოქსიკოინფექციების შემთხვევისას უმჯობესია რამდენიმე დღე დაიცვათ მკაცრი დიეტა. მიიღეთ მხოლოდ მოხარშული კარტოფილი, მარილიანი უცხიმო ყველი, მაწონი, ტკბილი ჩაი, მინერალური წყალი დიდი რაოდენობით. მოერიდეთ ცხიმიან საკვებს, ხილს, რომ გაღიზიანებული კუჭ-ნაწლავის ტრაქტი უფრო არ დაამძიმოთ, რაც სხვა დაავადებებს „ჩაუყრის საფუძველს“.

ჭორფლი – კანის პიგმენტაციის ანომალია

რა იწვევს კანის შეფერილობის შეცვლას? ასეთი შეკითხვით რამდენიმე მკითხველმა მოგვმართა. ვეცდებით მოგაწოდოთ მოკლე ინფორმაცია კანის პიგმენტაციის ანომალიების შესახებ და როგორ გავაუმჯობესოთ მდგომარეობა შინაურ პირობებში.

ჭორფლი – მცირე პიგმენტური ლაქებია, რომლებსაც მოყვითალო-მოყავისფრო ელფერი აქვს. ისინი გვხვდება სახეზე, ზურგზე, ხელის მტევნებზე. გაზაფხულ-ზაფხულში ჭორფლი იმატებს, ზამთარში კი ნაკლებად შესამჩნევია. კონკრეტული მეთოდი ჭორფლის მოსაშორებლად არ არსებობს. თუ თქვენი კანი საშუალებას გაძლევთ, ყოველ საღამოს წაისვით ლიმონი, გაიკეთეთ მაწვნის ნიღბები. ეფექტურია, კიტრის, დაჭრილი ოხრახუშის და მაწვნის ნაზავი, ასევე შავი მოცხარის წვენი. თბილი თვეების დადგომისთანავე თუ იხმართ მზის სხივებისგან დამცავ კრემებს შეიძლება ჭორფლმა „დაგინდოთ“ და ნაკლებად შესამჩნევი გახდეს.

ვიტილიგო – პიგმენტის გაქრობის შედეგია. კანზე მკვეთრად შემოსაზღვრული თეთრი ლაქები წარმოიშვება. ლაქამ კანის საკმაოდ დიდი უბანიც შეიძლება დაიკავოს. ზოგჯერ ლაქები ერთ რიგში, ჯგუფურად ლაგდებიან. ასეთ დაავადებულ უბანზე უპიგმენტო თმა (ჭაღარა) ამოდის. დაავადებას ქავილი, წვა, მტკივნეულობა არ ახასიათებს. ვიტოლიგოზე ეფექტურად მოქმედებს ღეღვის წვენის წასმა.

ხალი – კანის განვითარების მანკი. ხალი



შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი, თანდაყოლილიც და შემდეგ წარმოქმნილიც. თანდაყოლილი ხალი ორგვარია – პიგმენტური და ანგიომები (სისხლძარღვოვანი ლაქები), ხალების რაოდენობა ორსულობის და სქესობრივი მომწიფების პერიოდში იმატებს.

თმიანი ხალი – შავი ან მოყავისფროა, შეხებით მეჭეჭოვანი, ხორკლიანია. ზოგჯერ შეიძლება დიდი ფართობი დაიკავოს და დეფექტად გადაიქცეს. მისი ოდნავი დაზიანების შემთხვევაშიც მიმართეთ ექიმს.

რბილი მეჭეჭი – პატარა ზომის, მოყავისფრო-რუხი სიმსივნეებია. ისინი ხშირად ვითარდება კისერზე, ზურგზე, საზარდულის არეში.

ქლოაზმა – პიგმენტაციის მოშლის ერთ-ერთი სახეობაა. არასწორი ფორმის მოყვითალო-ყავისფერი ლაქებია, რომლებიც ჩვეულებრივ სიმეტრიულად არიან განლაგებულები შუბლის, ცხვირის, კისრის არეში. ქლოაზმის გაჩენა შეიძლება გამოწვეული იყოს ორსულობით, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ფუნქციის მოშლით, ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის დაავადებებით. თუ ორსულობით არის გამოწვეული მშობიარობის შემდეგ უკვალოდ გაქრება.

პიგმენტური ლაქები – ჰიპერპიგმენტაცია, შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა გარეგანი ფაქტორებით (მზის სხივებით, დამწვრობით, მოყინვით) ნივთიერებათა ცვლის მოშლილობით, ქრონიკული ინფექციებით.

გახსოვდეთ, საკვებში ვიტამინის ნაკლებობამ შეიძლება სხვადასხვა დაავადება გამოიწვიოს. ზოგს იდაყვებზე მოყვითალო-მოყავისფრო ლაქები უჩნდება, რომლებიც მშრალია და იქერცლება. კანის შეფერილობის შეცვლა შეიძლება სხვადასხვა ქიმიურმა ნივთიერებებმაც გამოიწვიონ.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

მკურნალი მუნჟმა

ოხრახუში ორგანიზმს წმენდს

ოხრახუში, თავისი უნიკალური თვისებების გამო, ოდითგანვე გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, როგორც სამკურნალო მცენარე. ის ეხმარება სისხლის შედედებას; მისი მიღება აუმჯობესებს ფარისებრი ჯირკვლის მოქმედებას.

შეშუპების დროს, 1 ჭიქა ოხრახუშის დაჭრილ ფოთლებსა და ფესვებს დაასხით 2 ჭიქა მდუღარე წყალი. დააყენეთ თავდახურულ ჭურჭელში მთელი ღამით, დილით კი გადაწურეთ და დაამატეთ 1 ლიმონის წვენი. დალიეთ 1 სადილის კოვზი, დღეში 5-6-ჯერ. ორი დღის შემდეგ შეისვენეთ და 3 დღის შემდეგ კვლავ გაიმეორეთ.

ჰემოგლობინის ასამაღლებლად საჭიროა ოხრახუშის ქორფა ფოთლებისა და ფესვების მიღება. ის მოქმედებს, როგორც უებარი საშუალება.

ოხრახუშის წვენს არაერთი დაავადების დროს იღებენ. მათ შორის: თირკმლის, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის გასასუფთავებლად.

200 გრამ ოხრახუშს დაასხით 2 ბოთლი ბორჯომი და წამოადუღეთ. მიღებული ნახარში დალიეთ ათი დღის განმავლობაში, დღეში 3-ჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

ოხრახუშს ჭამენ კენჭოვანი დაავადებების დროს, როგორც შარდმდენ საშუალებას. ასევე, ისეთი ინფექციური დაავადებებისას, როგორიცაა წითელა, ჩუტყვავილა და ქუნთრუშა.

თუ გსურთ, თირკმელები გაიწმინდოთ, 1-2 სადილის კოვზ დაჭრილ ოხრახუშს დაასხით ნახევარი ლიტრი მდუღარე წყალი და გააჩერეთ ცოტა ხნით. სვით მთელი დღის განმავლობაში, როცა მოგწყურდებათ.

გვირილა

ერთწლიანი მცენარეა. იზრდება 35-40 სმ. ივითარებს კალათა ყვავილედს. ყვავილები განლაგებულია გრძელ ყუნწზე. მცენარე სურნელოვანია. ყვავილობს მთელი ზაფხული. იზრდება ველად, ტყის პირას, ქმნის მასივებს. თუ ყვავილები ქვემოთ არის ჩამოშვებული უვარგისია. ყვავილი ჰაერზე გააშრეთ და შეინახეთ ხის ან მუყაოს ყუთში. ვარგისია 2 წელი.

გვირილას ახასიათებს ანტიალერგიული, ანტისპაზმური, ანთების საწინააღმდეგო, ოფლმდენი, დამამშვიდებელი მოქმედება. იხმარება შებერვისას, ანგინის, პირის ღრუს ანთებითი პროცესების დროს.

1 სუფრის კოვზი გამხმარი გვირილის ყვავილს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი. გააჩერეთ 20 წუთი, შემდეგ გაწურეთ და მიიღეთ თბილ მდგომარეობაში.

კრაზანა

მრავალწლოვანი ბალახია, ყვავილობს ყვითელი, შეკრული ყვავილებით. ძირითადად ტყის მდელოებზე იზრდება. ყვავილობს ზაფხულში და მაშინ უნდა მოხდეს მისი შეგროვება. გახევებული ღეროები არ გამოგადგებათ. გააშრეთ ჰაერზე.

კრაზანა შეიცავს კაროტინს, ს ვიტამინს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთეროვან ზეთებს, ფლავონოიდებს. გამოიყენება დასალევად, როგორც შემკვრელი, ანტისეპტიკური საშუალება კოლიტების სამკურნალოდ, აგრეთვე პირში გამოსავლებად და პირის ღრუს ლორწოვანის ანთების დროს.

1 კოვზ კრაზანას დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩერეთ 3-4 საათი, უნდა მიიღოთ სუფრის კოვზით. დღეში 4-5 სუფრის კოვზი, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

აფთიაქებში შეიძლება შეიძინოთ კრაზანას სპირტზე დამზადებული ნაყენი.

ასტროლოგი როსი: „პუტინს ხალხი ჩამოაგდებს“

ცნობილი ოდესელი ასტროლოგი ვლად როსი თვლის, რომ ვლადიმერ პუტინმა ახალი დემოკრატიული რუსეთის აშენება ვერ შეძლო და შოვინისტური ეიფორიაც ამიტომ გააღვივა.

– ახლა პუტინი ამ ეიფორიის მძევლად გადაიქცა, – ფიქრობს როსი და აცხადებს, რომ ვლადიმერ ვლადიმეროვიჩმა რუსეთი ჩიხში შეიყვანა.

– ნავთობზე ფასები ეცემა, დასავლეთის სანქციები კვლავაც ძალაშია, შედეგად რუსული ეკონომიკა უფსკრულისაკენ მიექანება, – ამბობს როსი.

მიუხედავად ამისა, ასტროლოგი თვლის, რომ 2016 წელს პუტინი ძალაუფლებას შეინარჩუნებს. ასევე რუსეთის კონტროლქვეშ დარჩებიან აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, მთიანი

ყარაბაღი, დნესტრისპირეთი, ყირიმი, დონბასი. კრიზისი რუსეთში 2016 წლის შემოდგომიდან გამწვავდება, პიკი კი 2017 წლის მარტზე მოვა.

– პუტინს ხალხი დაამხობს. ალბათობა იმისა, რომ მას ფიზიკურად გაუსწორდებიან, დიდია, – ამბობს ასტროლოგი.

როსის აზრით, პუტინის დამხობის შემდეგ რუსეთის პოზიციები პოსტსაბჭოთა სივრცეში შესუსტდება.

– ყირიმი 2022 წლამდე რუსეთის შემადგენლობაში დარჩება. დონბასი კი 2017 წლის ბოლოსთვის მთლიანად უკრაინის შემადგენლობაში დაბრუნდება. „მოლაშქრეები,“ ისევე, როგორც სეპარატისტების ლიდერები, რუსეთში გადავლენ, – აცხადებს ასტროლოგი.

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „ქელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
** კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

ტრამპი: „ისლამური სახელმწიფო ჰილარიმ შექმნა“

დონალდ ტრამპი ამერიკელთა მზარდ გაღიზიანებას იწვევს. კალიფორნიაში გაჩნდა პლაკატები, სადაც დიდი ასოებით ეწერა:

– ჯობს ამერიკის პრეზიდენტი უკანასკნელი მაწანწალა გახდეს, ოღონდ არა ტრამპი!

თავად მილიარდერმა ამ პლაკატის გამოჩენა კონკურენტების ხრიკებით ახსნა. მან ამომრჩევლებთან შეხვედრისას განაცხადა:

– ისლამური ტერორიზმის მთავარი სულისჩამდგმელი ბარაქ ობამა და ჰილარი კლინტონი არიან!

ამან თვით ტრამპის მომხრეებიც კი გააოცა. პრეზიდენტობის კანდიდატი კი განაგრძობდა:

– ისლამური სახელმწიფო ჰილარი კლინტონმა შექმნა, ბარაქ ობამა კი მას ყოველმხრივ ხელს უწყობდა! ის დანაშაულის თანამონაწილეა!

ალბათ, დროა, მისტერ ტრამპი ფსიქიატრს გაესინჯოს.

საუდის არაბეთში შიიტი შეიხი სიკვდილით დასაჯეს

საუდის არაბეთში სისრულეში იქნა მოყვანილი სასიკვდილო განაჩენი 47 ტერორისტის მიმართ.

ყველა მათგანი ალ-ქაიდასთან იყო დაკავშირებული. მათ სინდისზეა არაერთი ტერორისტულ აქტი, რისი მსხვერპლიც ქალები და ბავშვები აღმოჩნდნენ.

ტერორისტების სულიერი ლიდერი შეიხი ან-ნიმრი გახლდათ, რომელიც ასევე სიკვდილით დასაჯეს.

ამან ირანისა და ერაყის მთავრობათა რისხვა გამოიწვია. ისინი საუდის არაბეთის ხელისუფლებას შურისძიებით ემუქრებიან.

– ან-ნიმრის სიკვდილით დასჯა შიიტების წინააღმდეგ მიმართული ტერორია! ამას საკადრისი პასუხი მოჰყვება, – ნათქვამია ირანის მთავრობის განცხადებაში.

შეიხის სიკვდილით დასჯის გამო საუდის არაბეთის შიიტურმა მოსახლეობამ პროტესტი გამოთქვა. ხელისუფლებამ მათ წინააღმდეგ ტანკები გამოიყვანა.

შიიტებმა საპროტესტო აქციები გამართეს მრავალ მუსლიმანურ ქვეყანაში. თეირანში აღშფოთებულმა ბრბომ საუდის არაბეთის საელჩოში შეჭრა სცადა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ან-ნიმრის სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ საუდის არაბეთის ხელისუფლებამ ზედმეტი სიმკაცრე გამოიჩინა.

– ან-ნიმრის სიკვდილით დასჯა არ ღირდა, – თვლის სახელმწიფო დეპარტამენტი.

ვატიკანი პალესტინაში ეკლესიებს გახსნის

2016 წლის 1 იანვრიდან დაიწყო მოქმედება ხელშეკრულებამ ვატიკანსა და პალესტინის ავტონომიას შორის. მის თანახმად, ვატიკანს უფლება ეძლევა, პალესტინის ავტონომიის ტერიტორიაზე ახალი ეკლესიები გახსნას.

გათვალისწინებულია ავტონომიის ტერიტორიაზე მცხოვრები ქრისტიანული უმცირესობების დაცვაც.

– ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ პალესტინელი ქრისტიანები დავიცვათ, – განაცხადა რომის პაპმა.

ყირიმი: „უკრაინაში დაბრუნებას უშუქობა გვირჩევნია“

მოსკოვმა უარი თქვა ოფიციალური კიევის წინადადებაზე, დაედო კონტრაქტი ყირიმისთვის ელექტროენერგიის მიწოდებაზე. მასში დაფიქსირებული უნდა ყოფილიყო, რომ ნახევარკუნძული უკრაინას ეკუთვნის.

კონტრაქტის დადების ნაცვლად პუტინის ინიციატივით ყირიმში ჩატარდა გამოკითხვა: თანახმა ხართ თუ არა, რომ სინათლე მოვიდეს, მაგრამ ნახევარკუნძული კვლავ უკრაინას დაუბრუნდეს?

როგორც მოსალოდნელი იყო, მოსახლეობის უმრავლესობამ უკრაინის შემადგენლობაში დაბრუნებას ისევ უშუქობა ამჯობინა.

– გამოკითხვა ოკუპაციის პირობებში ჩატარდა, ამიტომ მას იურიდიული ძალა არ გააჩნია, – განაცხადა უკრაინის პრემიერმა არსენი იაცენიუკმა.

ახალ წელს ყირიმის მოსახლეობის 23% სიბნელეში შეხვდა.

რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე დიმიტრი პესკოვმა ჟურნალისტებთან საუბარში თქვა, რომ უკრაინელი ნაციონალისტებისა და ყირიმელი თათრების მიერ განხორციელებული ბლოკადის შედეგად რუსეთს 4 მილიონი დოლარის ზარალი მიადგა.

აღმოაჩენენ თუ არა ახალ გალაქტიკას?



კანადელი და ავსტრალიელი მეცნიერები აცხადებენ, რომ 2016 წელს ახალ გალაქტიკას აღმოაჩენენ:

ასტრონომია უკანასკნელ პერიოდში ძალიან სწრაფად განვითარდა. ახალი გალაქტიკის აღმოჩენაც რეალურია.

გერმანელი ასტრონომებიც ფიქრობენ, რომ ახალი გალაქტიკის აღმოჩენა შესაძლებელია, თუმცა არც მეტისმეტი ოპტიმიზმია საჭირო.

ამ მხრივ დიდი მუშაობა მიმდინარეობს. დაველოდოთ შედეგებს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

უკრაინაში ბანდერას დაბადების დღე აღნიშნეს

ყოველ წელს, 1 იანვარს, სტეპან ბანდერას დაბადების დღეს, უკრაინის მთელ ტერიტორიაზე ჩირაღდნებით მსვლელობები იმართება.

გამონაკლისი არც წლევანდელი წელი იყო. ყინვისა და თოვლის მიუხედავად, კიევის ქუჩებში 10.000 ადამიანი გამოვიდა.

1 იანვარმა ექსცესების გარეშე ჩაიარა. უკრაინელმა რუსეთუმეებმა ქუჩაში გამოსვლა ვერ გაბედეს და გული მხოლოდ რუსეთის ტელეარხებისადმი მიცემული ინტერვიუებით მოიოხეს:

– უკრაინაში საშინელი სიდუხჭირეა! ხალხი სანაგვე ყუთებში იქექება! იმის ნაცვლად, რომ გაჭირვებულ ადამიანებს მიხედონ, ნაცისტი ბანდერას მადიდებელ მარშებს აწყობენ! – „შრომის ვეტერანმა“ ეს რუსეთის ტელევიზიას განუცხადა.

ხალხი კი ქუჩებში ეროვნული დროშებითა და ბანდერას პორტრეტებით მოაბიჯებდა.

– ერთიან დამოუკიდებელ უკრაინას გაუმარჯოს! სტეპან ბანდერას გაუმარჯოს! ჩვენ გავიმარჯვებთ! – სკანდირებდნენ მანიფესტანტები.

ნიკა თევზაძე

განცხადებები

მკურნალობა

● დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, ოტიტის, ოსტეოქონდროზის, კიდურების, კუნთების, სახსრების დაავადებების, რადიკულიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, მასტიტის, საკვერცხეების ანთების, წითელი ქარის განკურნება უნიკალური ენერგეტიკული მეთოდით, ასაკის მიუხედავად. ეს ნამდვილია პრაქტიკულად გამოცდილი. მის.: აღმაშენებლის 93. ტელ: 599-97-85-46 ლევანი - სერტიაიცირებული სახალხო მკურნალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

ბათუმი და დინამო სუპერლიგას ლიდერობენ

გაიმართა საქართველოს საკალათბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

ქუთაისი – ბათუმი 73:74
(21:29; 22:11; 14:17; 16:17)

ამ გუნდების პირველი წრის მატჩი ბათუმში მასპინძლებმა მოიგეს – 66:62. დაძაბული გამოდგა ქუთაისში ჩატარებული შეხვედრაც, რომელიც ისევ ზღვისპირელებმა, დრამატული ფინიშით 1 ქულის სხვაობით – 74:73 მოიგეს.

სტუმრებმა თამაში შედეგიანად დაიწყეს. უფრო ზუსტად, ბათუმელთა გამთამაშებელ ნიკა რამიშვილს აღმოაჩნდა ბასრი მიზანი და მან საწყის 2:30 წუთში ზედიზედ 3 სამქულიანი ჩააგდო.

სამიანები მიითვალეს რამიშვილის ნაცვლად მოედანზე გამოსულმა ირაკლი მიქელაძემ და ირაკლი მაისურაძემ, რის შემდეგაც აჭარულმა გუნდმა საწყისი პერიოდი დამაჯერებლად – 29:21 მოიგო.

მასპინძლებმა ჩამორჩენა მეორე მეოთხედშივე გააბათილეს. ამერიკელი ტრეი ბრიტონის, რიჩარდ მათიაშვილისა და ზაურ ფაშაევის აქტიურობით მეორე პერიოდი იმერულმა კლუბმა 22:11 მოიგო და დიდ შესვენებაზე 3-ქულიანი ლიდერობით გავიდა.

მესამე პერიოდში თამაში გათანაბრდა და ქულა-ქულაში მიდიოდა, თუმცა დასკვნით მეოთხედში ქუთაისელებმა უპირატესობა მოიპოვეს და გამარჯვებასთანაც ახლოს იყვნენ. ცეკვავას და ფაშაევის სამქულიანებით მასპინძლები 67:60 დაწინაურდნენ, ხოლო შეხვედრის დასრულებამდე 5 წუთით ადრე წინ 9 ქულით გავიდნენ – 71:62.

გამარჯვებამდე მასპინძლებს 2-3 წუთის უშეცდომოდ თამაში მართებდათ, თუმცა აკაკი დვალიშვილის, ბესო ლეჟავასა და ირაკლი მაისურაძის შედეგიანობას ქუთაისელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს.

მაისურაძის სამქულიანით ბათუმელებმა ჩამორჩენა 4 ქულამდე შეკვეცეს – 69:73. ამას დაერთო დავით უსტიაშვილის გაწვრთნილი ბათუმელების კარგი დაცვითი თამაში და ჯერ დვალიშვილმა ორქულიანი მიითვალა, შემდეგ ლეჟავამ გარღვევა ზუსტად დააგვირგვინა და შეხვედრის დასრულებამდე 28 წამით ადრე ანგარიში გათანაბრდა – 73:73.

ქუთაისელებმა შეტევა ბოლომდე გათამაშეს და ზაურ ფაშაევს დვალიშვილმა დაუფარა. ბურთი ბათუმელებმა მოხსნეს და ყველაფერი ოვერტაიმისკენ წავიდა, თუმცა ქუთაისელი გიორგი ბარბაქაძე მიქელაძეზე დაჯარიმდა. მასპინძლებმა ბევრი აპროტესტეს, ბოლო წამზე მოედნის ცენტრში როდის და ვინ დაუჯარიმებიათო, თუმცა დავით ბერეკაშვილი შეუვალი იყო.

მიქელაძემ პირველი საჯარიმო ჩააგდო, ბათუმი 74:73 დაწინაურა, მეორე კი განზრახ ააცილა და დროც ამოიწურა.

აჭარულ გუნდს 18 ქულით დვალიშვილმა ულიდერა, 17 ქულა კი ნიკა რამიშვილის ანგარიშზეა.

ქუთაისელებში 20 ქულით მათიაშვილი გამოირჩა, გოგა ცეკვავამ კი ორმაგი დუბლი – 13 ქულა და 10 პასი მოაგროვა.

ოლიმპი – დინამო 69:79
(23:17; 17:22; 16:28; 13:12)

დინამომ, რომელიც ამ ტურამდე ლიდერთა სამეულში იყო, მორიგი ტურის მატჩი ოლიმპს მოუგო და ლიდერთა შორის დარჩა.

ყველაფერი მესამე პერიოდში გადაწყდა, რომლის დაწყებამდეც გუნდებმა 2 განსხვავებული ათწუთეული ჩაატარეს. პირველი მეოთხედი ოლიმპმა 23:17 მოიგო, ხოლო მეორეში დინამომ 22:17 იმარჯვა. მესამე ათწუთეულში დინამოელებმა იძალეს. გიორგი შარაბიძის, გრიგოლ შვანგირაძის, ნოდარ გოგოძისა და ობრი მაკალპინის თაოსნობით 28:16 იმარჯვეს და დინამოელებს გასამარჯვებლად საკმარისი ლიდერობა დაუბევეს.

საბოლოოდ დინამომ გაიმარჯვა და სუპერლიგის ცხრილის სათავეში ბათუმთან ერთად დარჩა. დინამოელებს 21 ქულით შარაბიძემ ულიდერა, ოლიმპში კი ყველაზე მეტი – 16 ქულა ჯერემი ბაინამს ჰქონდა.

სოხუმი – მგზავრები 79:81
(22:24; 14:14; 28:18; 15:25)

სოხუმმა, რომელიც სუპერლიგას კარგა ხნის მანძილზე ლიდერობდა და ბოლო ტურებში ცხრილში ოდნავ ჩამოქვეითდა, საშუალო მეტოქის დამარცხება ვერ მოახერხა და მე-5 ადგილამდე ჩამოქვეითდა.

ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა მგზავრებმა პირველი პერიოდი 24:22 მოიგეს, მეორე კი ფრედ – 14:14 დასრულდა და დიდ შესვენებაზე ბერიშვილის გუნდი მცირე ლიდერობით გავიდნენ.

მესამე პერიოდში ვითარება რადიკალურად შეიცვალა. სოხუმელებმა გააზრებული და შედეგიანი თამაშის წყალობით დაწინაურება და ლიდერობის გამყარება მოახერხეს. ფილიპ მილერისა და გიორგი კვეტენაძის შედეგიანობით ვაჟა კვარაცხელიას გუნდმა პერიოდი 28:18 მოიგო და გადამწყვეტი ათწუთეულის წინ 8 ქულით – 64:56 დაწინაურდა.

ბოლო პერიოდში უკვე მგზავრები გააქტიურდნენ და იმდენი მოახერხეს, რომ გამარჯვებამდე მივიდნენ.

სოხუმელებმა საკუთარ თავს უნდა დააბრალონ, რომ მოგებული მატჩი წააგეს. შეხვედრის დასრულებამდე 2 წუთით ადრე სოხუმი 6 ქულით – 79:73 იგებდა, თუმცა მგზავრებმა ჩამორჩენა ლევან გრძელიძის, მაიკლ ტერისა და ავთო ლომინაშვილის ქულებით აღმოფხვრეს, ხოლო კახა ჯინჭარაძემ საფინალო სირენის თანხლებით გამარჯვების ბურთი ჩააგდო და თამაში 81:79 დასრულდა.

გამარჯვებულებს 19 ქულითა და 16 მოხსნით რეჯინალდ ტერიმ ულიდერა. 15 ქულა დააგროვა ავთო ლომინაშვილმა, ხოლო მაიკლ ტერის ანგარიშზე ორმაგი დუბლი – 14 ქულა და 10 მოხსნა დაგროვდა.

სოხუმელებს 31 ქულით ფილიპ მილერმა ულიდერა, მაგრამ ამაოდ – გამარჯვება მგზავრებმა წაიღეს.

აკადემია – რუსთავი 73:86
(15:23; 19:22; 10:21; 29:20)

მატჩის მონაწილე გუნდების შემადგენლობებში ცვლილებები განხორციელდა. წარუმატებლად მოასპარეზე (4 მოგება, 8 წაგება) რუსთავის მთავარმა მწვრთნელმა, მიხეილ ბერუაშვილმა გუნდი დატოვა. აკადემიამ კი ვითადან წამოსული მერაბ ბოქოლიშვილი დაიმატა. შედეგად კი ისე გამოვიდა, რომ რუსთაველებმა საკმაოდ იოლად – 86:73 დაამარცხეს აკადემია.

სუპერლიგის მიმდინარე გათამაშება დიდად არაპროგნოზირებადია. აკადემიამ წინა ტურში ლიდერი ბათუმი სტუმრად რომ დაამარცხა, შემდეგ ცხრილში მეზობელ რუსთავთან უშანსოდ დამარცხდა. რუსთაველებმა სწორი კალათბურთი ითამაშეს და გამარჯვებულის ვინაობა 3 მეოთხედის შემდეგ გაარკვიეს. პირველი პერიოდი 23:15, მეორე – 22:19, ხოლო მესამე – 21:10 მოიგეს და ბოლო ათწუთეულის წინ 66:54 დაწინაურდნენ რუსთაველები. ამის შემდეგ მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო და გუნდებმა ბოლო მეოთხედი ფორმალურად ჩაითამაშეს.

გამარჯვებულებს 23 ქულითა და 18 მოხსნით ულიდერა კაილ ტურპინმა. 21 ქულა მოაგროვა მიხეილ ჭოჭუამ, სერბი ნიკოლა გაჩეშას ანგარიშზე კი 18 ქულა დაგროვდა. აკადემიელებში საუკეთესო იყო მორის ბრიგსი, რომელმაც 27 ქულა მიითვალა, ხოლო კახა ტომარაძის ანგარიშზე 17 ქულა დაგროვდა.

სატურნირო ცხრილი:

1.ბათუმი	13	9	4	1011:955	22
2.დინამო	13	9	4	933:869	22
3.ქუთაისი	13	8	5	994:945	21
4.მგზავრები	13	7	6	935:972	20
5.სოხუმი	13	7	6	1007:918	20
6.ოლიმპი	13	5	8	937:955	18
7.რუსთავი	13	5	8	962:995	18
8.აკადემია	13	2	11	920:1090	15

ფეხბურთი

2 იანვარი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონშიპი

ვესტ ჰემი-ლივერპული 2:0
არსენალი-ნიუკასლი 1:0
ლესტერი-ბორნმუთი 0:0
მანჩესტერი-სუონსი 2:1
სანდერლენდი-ასტონ ვილა 3:1
ვესტ ბრომვიჩი-სტოკი 2:1
უოტფორდი-სიტი 1:2

სატურნირო ცხრილი:

1.არსენალი	20	13	3	4	34-18	42
2.ლესტერი	20	11	7	2	37-25	40
3.სიტი	20	12	3	5	39-21	39
4.ტოტენჰემი	19	9	8	2	33-15	35
5.მანჩესტერი	20	9	6	5	24-17	33
6.ვესტ ჰემი	20	8	8	4	30-23	32
7.კრ.პალასი	19	9	4	6	23-16	31
8.ლივერპული	20	8	6	6	22-24	30
9.უოტფორდი	20	8	5	7	25-22	29
10.სტოკი	20	8	5	7	21-21	29
11.ევერტონი	19	6	8	5	35-28	26
12.ვესტ ბრომვიჩი	20	7	5	8	20-25	26
13.საუთჰემპტონი	20	6	6	8	26-24	24
14.ნორვიჩი	20	6	5	9	23-32	23
15.ბორნმუთი	20	5	6	9	22-34	21
16.ჩელსი	19	5	5	9	23-29	20
17.სუონსი	20	4	7	9	17-26	19
18.ნიუკასლი	20	4	5	11	19-35	17
19.სანდერლენდი	20	4	3	13	22-39	15
20.ასტონ ვილა	20	1	5	14	16-37	8

ინგლისი. ჩემპიონშიპი

ბირმინგემი-ბრენტფორდი 2:1
ბოლტონი-ჰადერსფილდი 0:2
ბარნლი-იფსვიჩი 0:0
კარდიფი-ბლეკბერნი 1:0
ჩარლტონი-ნოტინგემი 1:1
ფულემი-უენსდი 0:1
ლიდსი-მილტონი 1:1
მიდლსბრო-დერბი 2:0
პრესტონი-როტერჰემი 2:1
რედინგი-ბრისტოლი 1:0

ესპანეთი. ჩემპიონატი დივიზიონი

ატლეტიკო-ლევანტე 1:0
მალაგა-სელტა 2:0
ესპანიოლი-ბარსელონა 0:0

სატურნირო ცხრილი:

1.ატლეტიკო	18	13	2	3	25-8	41
2.ბარსელონა	17	12	3	2	40-15	39
3.რეალი	17	11	3	3	45-16	36
4.ვილიარეალი	17	10	3	4	22-15	33
5.სელტა	18	9	4	5	28-25	31
6.დეპორტივო	17	6	9	2	25-16	27
7.ბილბაო	17	8	3	6	25-18	27
8.სევილია	17	7	5	5	23-19	26
9.ეიბარი	17	6	6	5	21-19	24
10.მალაგა	18	6	5	7	13-14	23
11.ვალენსია	17	5	7	5	21-15	22
12.ესპანიოლი	18	6	3	9	16-28	21
13.ბეტისი	17	5	5	7	13-23	20
14.ხეტაფე	17	4	5	8	18-26	17
15.სოსიედადი	17	4	4	9	18-25	16
16.ლას პალმასი	17	4	4	9	16-24	16
17.ხიხონი	16	4	3	9	15-25	15
18.გრანადა	17	3	5	9	18-31	14
19.რაიო	17	4	2	11	18-39	14
20.ლევანტე	18	2	5	11	12-31	11

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალავესი-ბილბაო ბ 3:0
ოსასუნა-ხიმნასტიკი 1:1
ელჩე-მალიორკა 1:1

პორტუგალია. პირველობა

აკადემიკა-მადეირა 3:1
ბოავიშტა-მორეირენსე 0:3
მარიტიმუ-ეშტორილი 1:1
ნაციონალი-არაუჯა 2:2
სეტუბალი-ბრაგა 1:1
ფერეირა-ბელენენსეში 2:2
გიმარაეში-ბენფიკა 0:1

შოტლანდია. პირველობა

დანდი-დ.იუნაიტედი 2:1
სელტიკი-პარტიკი 1:0
ინვერნესი-როსი 2:0
კილმანროკი-ჰარტსი 2:2
მოზერველი-ჰამილტონი 3:3

საბერძნეთი. სუპერლიგა

ასტერასი-პანრარაიკოსი 4:0
იანინა-ვერია 2:0
ირაკლისი-კალონი 3:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ოლიმპიურმა კომიტეტმა ხინჩეგაშვილი გამოარჩია

საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა საქართველოს 2015 წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარა მსოფლიოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ვლადიმერ ხინჩეგაშვილი.

სეოკ-ის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა ლაურეატს საზეიმო ვითარებაში გადასცა შესაბამისი დიპლომი, ფულადი ჯილდო და სხვადასხვა საჩუქრები, ასევე რიოს 2016 წლის

ოლიმპიური თამაშების ლიცენზიანტის მოწმობა. ასეთივე მოწმობა და საჩუქრები გადაეცა კიდევ ერთ ლიცენზიანტს, თავისუფალი სტილის მოჭიდავეს, პირველი ევროპული თამაშების ვერცხლის პრიზიორ ელიზბარ ოდიკაძეს.

ლერი ხაბელოვი:

– წლევანდელი წელი წარმატებული იყო ჩვენი სპორტისთვის – თავისუფალ ჭიდაობაში ათი წელი არ გვყავდა მსოფლიოს ჩემპიონი. ხინჩეგაშვილმა ძალიან კარგად იჭიდავა ლას ვეგასში და ყველანი გაგვახარა. იმედი გვაქვს, რომ ლადოც და ჩვენი სხვა ლიცენზიანტებიც მაქსიმალურად მომზადებულნი შეხვდებიან მომავალ ოლიმპიადას.

სპორტული წლის ლაურეატს ჩემპიონობა და აღიარება მიულოცეს სეოკ-ის პირველმა ვიცეპრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა, ვიცეპრეზიდენტებმა ნინო სალუქვაძემ და მამუკა ხაბარელმა, ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობაში გურამ საღარაძემ, რომელსაც ასევე გადაეცა სამახსოვრო საჩუქრები.

ფეხბურთის ფედერაცია ახალ წელს ცვლილებებით იწყებს

შეიქმნა ქართული ფეხბურთის განვითარებისა და დაფინანსების ერთიანი ფონდი. ამის შესახებ განცხადება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა გააკეთა.

მინისტრის ინფორმაციით, ფეხბურთის დაფინანსების ერთიანი ფონდი მთავრობის სხდომაზე დამტკიცდა და მიმდინარე წლიდან ფუნქციონირებას დაიწყებს.

ერთიანი ფონდის შექმნის იდეა სფფ-ს პრეზიდენტ ლევან კობიაშვილს ეკუთვნის, რომლის მეშვეობითაც კერძო და სახელმწიფო კლუბები თანაბარ დაფინანსებას მიიღებენ.

ამასობაში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სტრუქტურული ცვლილებების ბოლო ეტაპზე გადავიდა, რაც გულისხმობს სხვადასხვა განყოფილების და დეპარტამენტის განახლების პროცესს.

ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულება გასული წლის 31 დეკემბერს ამოეწურა. ახალი სტრუქტურიდან გამომდინარე, რომლის გაცნობა ფართო საზოგადოებისთვის იანვარში მოხდება, ფორმდება ახალი ხელშეკრულებები.

ამავდროულად, ცვლილებები იქნება ასაკობრივი ნაკრებების სამწვრთნელო შტაბებში. განახლებული შემადგენლობაც საზოგადოებისთვის იანვარში იქნება ცნობილი.

აქედან გამომდინარე, 2016 წლიდან ფეხბურთის ფედერაციამ სამუშაო პროცესი განახლებული შემადგენლობითა და ახალი პროექტებით დაიწყო.

უგოლო ბარსა და მასკერანო

ბარსელონამ 2016 წელი წარუმატებლად დაიწყო – ლუის ენრიკეს გუნდმა ესპანიოლთან გამართულ ბარსელონურ დერბიში მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა.

პაუერ სთედიუმზე გამართული მატჩი მიმდინარე სეზონში პირველია, რომელშიც ბარსამ გოლის გატანა ვერ მოახერხა. სეზონის პირველ ნაწილში, კატალონიელები მეტოქის კარის აღებას ყოველთვის ახერხებდნენ.

გარდა ამისა, 2010 წლის შემდეგ პირველად მოხდა, რომ ბარსელონამ ესპანიოლს გოლი ვერ გაუტანა. 6 წლის წინ იმავე სტადიონზე გამართული თამაში ასევე 0:0 დასრულდა.

რადგან გოლებზეა საუბარი, გეტყვით იმასაც, რომ ბარსელონის არგენტინელი უნივერსალი ხავიერ მასკერანო კატალონიური კლუბის ახალი რეკორდსმენი გახდა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც საამაყო არაფერია – მასკერანოს ბარსას რიგებში ყველაზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული ისე, რომ გოლი არ გაუტანია. რა თქმა უნდა, საუბარი არაა მეკარეებზე.

რეკორდსმენი აქამდე მიქაელ რაიციგერი იყო. ჰოლანდიელმა მცველმა 1997-2004 წლებში ბარსელონის მაისურით 254 თამაში ჩაატარა ისე, რომ მეტოქის კარში გოლი არ გაუტანია.

ესპანიოლთან გამართული მატჩი მასკერანოსთვის ბარსელონის რიგებში 255-ე იყო და არგენტინელს თავი კვლავ არ გამოუჩენია.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

ამერიკელ ქალს ჰიპერმარკეტი სასადილო ეგონა

ამერიკის ფლორიდის შტატის პოლიციამ ჰიპერმარკეტში დააკავა გოგონა, რომელიც მეტამფეტამინის ზეგავლენის ქვეშ მყოფი მაღაზიაში სკუტერით გადაადგილდებოდა და საკვებად გამოსადეგ საქონელს ადგილზევე მიირთმევდა.

25 წლის ჯოსელინა ელიდა ლოპესმა, რომელსაც ცალ ხელში ღვინის ბოთლი ეკავა, შეჭამა როლლი სუშის შეკვრიდან, მინი-მაფინი და ფუნთუშა ნამცხვრით. ადგილზე მისულ პოლიციელებს გოგონა იატაკზე მწოლიარე დახვდათ, გვერდით ცარიელი შეკვრა ეგდო, რომელშიც შემწვარი წიწილა იდო. მის ხელჩანთაში სამართალდამცავებმა სამი ცალი ცარიელი სამედიცინო ნემსი ნახეს. ლოპესის აღიარებით, ის მათ მეტამფეტამინის მისაღებად გამოიყენებდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გოგონამ, საერთო ჯამში, 32,36 დოლარის პროდუქტები შეჭამა.

– მე, უბრალოდ, მშიოდა და მაღაზიიდან რაიმეს მოპარვას არ ვაპირებდი, – განაცხადა ლოპესმა.

გოგონას წვრილმანი ქურდობისა და ნარკოტიკების შენახვის ბრალდება წაუყენეს.

ლესბოსელების ტკბილეულის გარეშე დამტოვებელმა კონდიტერებმა ჯარიმა გადაიხადეს

ამერიკის ორეგონის შტატში საკონდიტროს მფლობელებმა 137 ათასი დოლარი გადაიხადეს ლესბოსელი წყვილისთვის მორალური ზიანის მიყენებისთვის. მათ უარი განაცხადეს, საქორწინო ტორტი დაემზადებინათ ლესბოსელი ქალებისთვის და სწორედ ამისთვის დაჯარიმა ისინი შტატის ხელისუფლებამ.

2013 წლის ივლისში მეუღლეებმა აარონ და მელისა კლიაინებმა უარი განაცხადეს, 135 ათასი დოლარის ჯარიმა გადაეხადათ ლორელ და რეიჩელ ბოუმან-კრაიერების უფლებების დარღვევისთვის. პროცენტების გათვალისწინებით, ჯარიმის საერთო თანხამ 136,9 ათასი დოლარი შეადგინა.

მანამდე კი კლიაინმა ორეგონის შრომის ბიუროს ბიუჯეტში დამატებით შვიდი ათასი დოლარი გადაიხადა.

კუს გამტაცებელი ფეისბუქის წყალობით აღმოაჩინეს

ტაილანდის პოლიციამ დააკავა ბირმანული კუების გამტაცებელი, რომელმაც ფეისბუქში ცხოველების გაყიდვის განცხადება განათავსა. გამომძიებლებმა ვებგვერდი სოციალურ ქსელში აღმოაჩინეს, რომელზეც თავსდებოდა განცხადებები იშვიათი სახეობის ცხოველების გაყიდვის თაობაზე.

დამნაშავის დაკავების ოპერაცია ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში ჩატარდა. მამაკაცისთვის აღმოჩენილი შვიდი კუ კონფისკირებულია. დადგენილია, რომ სამი მათგანი მიანმის ნაკრძალიდანაა მოპარული. ბუნების დაცვის ამერიკის საზოგადოების წარმომადგენელი სტივ პლატი ტაილანდში ცხოველების იდენტიფიკაციისთვის ჩავიდა და მან დაადასტურა, რომ სწორედ ეს ცხოველები იყო მოპარული. კუები ნაკრძალში დაბრუნეს, ხოლო თუ რა სასჯელი ელის დაკავებულ მამაკაცს, უცნობია.

ბირმანული კუები გადაშენების პირას იმყოფებიან და ისინი წითელ წიგნშია შეყვანილი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

4 იანვრისთვის

ვერძი – შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებს ფორტუნა გიღიმით. ასევე წარმატებული დღეა საბიუჯეტო სფეროს მუშაკებისთვის. ინტუიციას ნუ მიენდობით, რეალობის აღქმა შეინარჩუნეთ. **კურო** – ოჯახში ჰარმონია და სიყვარული თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზეც აისახება. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას გონივრულად მიიღებთ. **ტყუპები** – მოზღვავებული ენერგია საშუალებას მოგცემთ, გრძელვადიანი გეგმების განხორციელებას თამამად შეუდგეთ. ოღონდ ნუ გარისკავთ, რათა მოტყუებული არ დარჩეთ. **კირჩხიბი** – კონფლიქტური სიტუაციების ალბათობა საკმაოდ მაღალია. ერიდეთ საქმის გარჩევებს ხელმძღვანელობასთან და კოლეგებთან. **ლომი** – მშვენიერი პერიოდია უკვე დამთავრებული საქმეების გასაანალიზებლად, ახალი გეგმების შესამუშავებლად. თქვენი მომხიბვლელობის წყალობით ახალ მოკავშირეებს იოლად შეიძენთ. **ქალწული** – ოპტიმიზმი და სიცოცხლის სიყვარული წარმატებას მოგიტანთ პროფესიულ საქმიანობაში. ემოციებს არ აჰყვეთ. მშვიდად იმუშავეთ. **სასწორი** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. მიზანი დაისახეთ და მის განხორციელებას შეუდექით, ოღონდ თავს ნუ დაკარგავთ. გრძნობები აკონტროლეთ. **ღრიანკალი** – კეთილისმყოფელი დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. იმედითა და რწმენით სავსე ხართ. დღევანდელი დღის მოვლენები თქვენს მომავალზეც იმოქმედებს. **მშვილდოსანი** – ეს დღე განსაკუთრებით იღბლიანია ქალებისთვის. გარშემომყოფები თქვენ მიმართ სიმპათიით არიან განწყობილი. ყველაფერი საკმაოდ იოლად გამოგდით. **თხის რქა** – ცოტა დეპრესიული განწყობა გაქვთ. შესაძლოა საქმიანობის სფეროს შეცვლა მოგიხდეთ. იმპულსურობა და ემოციურობა ცუდ სამსახურს გაგიწევთ. **ვერცხლი** – კარგი დღეა ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობისათვის. ეცადეთ, მხოლოდ ცივი გონებით იმოქმედოთ. თუ კარგად იმუშავებთ, შრომა დაგიფასდებათ. **თევზები** – მთლიანობაში კეთილისმყოფელი დღეა. ერიდეთ ეგოისტ და საკუთარ თავზე შეყვარებულ ადამიანებს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ნუცა ბუზალაძის ტრიუმფი თურქულ „ვოისში“ გრძელდება



18 წლის ნუცა ბუზალაძე თურქულ „ვოისში“ მონაწილეობს. „ახალი ტალღის“ მოგების შემდეგ მომღერალმა გადაწყვიტა, საქართველოს ფარგლებს გარეთ სხვადასხვა მუსიკალურ პროექტში ცადოს ბედი და თავისი მუსიკალური შესაძლებლობები მაქსიმალურად მეტ ადამიანს გააცნოს.

თურქულ „ვოისში“ ნუცამ მაყურებლისა და ჟიურის შოკში ჩაგდება მოახერხა, როდესაც ბრმა ქასტინგზე „დელი მარმელადი“ შეასრულა და პირველივე წუთებზე ჰადისეს შემობრუნება შეძლო, სიმღერის დასრულებამდე კი ნუცას ოთხივე მწვრთნელი შემოუბრუნდა. ნუცამ არჩევანი ჰადისეზე გააკეთა და მისი გუნდის წევრი გახდა.

ახალი წლის დღეებში ნუცას კვლავ მოუწია თურქეთში ჩასვლა და „ვოისის“ მორიგ ტურში მონაწილეობა, მაგრამ ის მომდევნო ტურში რინგის გარეშე გადაიყვანეს.

ნუცა ბუზალაძე:

– ახალი წელიც ასეთი წარმატებით უნდა დაიწყოს! კარგი ამბავი მაქვს – შემდეგ ტურში რინგის გარეშე გადავედი. კისის ფრომ ისტანბულ!

რობერტ სტურუამ პატარა მაყურებელს საჩუქარი მოუმზადა

რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა რობერტ სტურუამ საახალწლო დღეების გასალამაზებლად პატარა მაყურებელს საჩუქარი მოუმზადა. თეატრის დიდ სცენაზე ის რეჟისორ ნიკოლოზ ჰაინე-შველიძესთან ერთად ბავშვებს საპრემიერო სპექტაკლებზე ეპატიჟება.

„კონკია“ მუსიკალური ზღაპარია, რომელიც შარლ პეროს ამავე სახელწოდების ცნობილი ზღაპრის მიხედვით განხორციელდა. ერთმოქმედებიანი სპექტაკლის სცენური ვერსია რობერტ სტურუას, ნიკოლოზ ჰაინე-შველიძესა და ნინო კანტიძეს ეკუთვნით.

რუსთაველის თეატრის მსახიობები „კონკიას“ დღეში ორჯერ ითამაშებენ. სპექტაკლის შემდეგ ყოველ ბილეთზე მაყურებელი მიიღებს საჩუქარს. „კონკიას“ საახალწლო წარმოდგენები რუსთაველის თეატრში 13 იანვრის ჩათვლით გაიმართება.

ვინ ბლოკავს გივი გაჩეჩილაძეს?

თბილისის ბიგ ბენდის მუსიკალური ხელმძღვანელი გივი გაჩეჩილაძე წლებია მუსიკალურ სამყაროში ავტორიტეტით სარგებლობს. მისი შვილები მომღერალი თაკო გაჩეჩილაძე და მსახიობი ნინო გაჩეჩილაძე მამით ძალიან ამაყობენ.

სწორედ შვილების გაღიზიანება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ მათი მამის სამთვიანი თავდაუზოგავი შრომა არ დაფასდა და ვლადიმირ კოსმას კონცერტზე არავის გაუჟღერებია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვლადიმირ კოსმას ნაწარმოებების პარტიტურაზე სწორედ გივი გაჩეჩილაძემ იმუშავა.

ნინო გაჩეჩილაძე:

– „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ გავიდა ცნობილი ფრანგი კომპოზიტორის ვლადიმირ კოსმას შემოქმედებითი საღამო, სადაც გამოცხადდა, რომ ნაწარმოებების პარტიტურები ლიცენზირებულად იქნა შეძენილი თავად ვლადიმირ კოსმასგან. ამ დროს მამაჩემი, გივი გაჩეჩილაძე, 3 თვე დილიდან საღამომდე იჯდა და მუშაობდა ამ პარტიტურებზე. დასკვნები თქვენთვის მომინდვია...

თაკო გაჩეჩილაძე:

– არაჩვეულებრივი კონცერტი გავიდა პირველ არხზე! ვლადიმირ კოსმას ფილმების მუსიკა.?პარტიტურები კონცერტისთვის მამაჩემმა, გივი გაჩეჩილაძემ გააკეთა. სამწუხაროა, რომ ეს კონცერტზე მოსულმა ხალხმა ვერ შეიტყო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მამაკაცი თხასთან სექსისთვის დააკავეს

ამერიკის ქალაქ ოკლაჰომა-სიტის (ოკლაჰომას შტატი) მცხოვრები მამაკაცი თხასთან სექსისთვის დააპატიმრეს. აღნიშნული ინციდენტი შობის დღესასწაულზე მოხდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გვიან ღამით ადგილობრივ პოლიციაში შევიდა საჩივარი ცხოველებთან სასტიკი მოპყრობის თაობაზე. მომჩივანი პოლიციელებს მოუყვა, რომ სათვალთვალო კამერის დახმარებით დაინახა 53 წლის დერილ გენ სკოგინი, რომელიც შარვალჩახდილი იდგა და ხელებით თხა ეკავა.

– მას ნამდვილად ჰქონდა სქესობრივი აქტი ცხოველთან, – განაცხადა მომჩივანმა.

მას შემდეგ, რაც სამართალდამცავები შემთხვევის ადგილზე მივიდნენ, თვითმხილველმა მათ განუცხადა, რომ მას შემდეგ, რაც მათ დაურეკა, ხელში თოფი აიღო და პოლიციის მოსვლამდე სკოგინი დაკავებული ჰყავდა. მამაკაცი დაუყოვნებლივ დააკავეს. ჩხრეკის დროს მას ჯიბეში არყის ბოთლი უპოვეს.

თვითმხილველის თქმით, ეს სკოგინის თხაზე ძალადობის პირველი შემთხვევა არ არის. ოკლაჰომის შტატის კანონმდებლობით ზოოფილია აკრძალულია და ასეთი დანაშაულისთვის მაქსიმალური სასჯელი 10-წლიან პატიმრობას ითვალისწინებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სიჯვოხდი



1. წილი ბიზნესში; 2. ვაზის წყვილმტევნიანი რქა; 3. იუპიტერი ძველქართულად; 4. ... დეფო; 5. ნაბიჯი ბალეტში; 6. ჰაერში გასაშვები სათამაშო; 7. მედიცინის დარგი; 8. წვრილი ღვედი; 9. მდინარე ინდოეთში; 10. მაგარმერქნიანი ხე; 11. ... ჰეპბერნი; 12. ჭადრაკის ფიგურა; 13. სასწორის თეფში; 14. მშვილდ-...; 15. ... გაუსი; 16. სამეტყველო ორგანო; 17. „... დაიდარდო!“ 18. ბედი, იღბალი; 19. გემის კიბე; 20. ქიმიური ელემენტი; 21. ასო „ნ“-ს სახელწოდება; 22. თოვლის ჯიქი; 23. მოძღვარი საფრანგეთში; 24. ქალაქი ჩინეთში; 25. ბატკნის მოგების დრო; 26. ძველი ეგვიპტის დედაქალაქი; 27. ქალაქი რაჭაში; 28. დაირა; 29. ზანგისა და თეთრკანიანის შვილი; 30. მაუგლის ერთგული პითონი; 31. ფერადი ზოლი ფორმის შარვალზე; 32. დიდი ფრინველის ნარნარი ფრენა; 33. შემაღლებული ადგილი კონცერტის გასამართად; 34. მექსიკელთა ღვთაება, რომელსაც ადამიანებს სწირავდნენ.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

პროსვორდი ა

შვეულად: 1. მარჩილი; 2. პიკასო; 3. „ცოლიკაური“; 4. ჩხეიძე; 5. ვავრინკა; 7. იენი; 11. ნებიერი; 13. „თავთუხი“; 15. სტეკა; 16. ბანქო; 18. კასიო; 19. „იმოლა“.

თარაზულად: 6. აქსისი; 8. აიათოლა; 9. „მეეზოვე“; 10. ინდიანა; 12. კოშმა; 14. მერანო; 17. რევოკაცია; 20. სპეკალი; 21. სვერი; 22. იტალია; 23. „კოხინორი“.

პროსვორდი ბ

შვეულად: 1. „მუზა“; 2. სიდრი; 3. ალეპო; 4. წნორი; 5. წულაძე; 6. რეციდივი; 8. რეზერვაცია; 10. ნოქალაქევი; 11. სირაქლემა; 14. ხერესი; 15. ქაშაყი; 16. კანიო.

თარაზულად: 1. „მარსალა“; 4. წიწამური; 7. ზონდი; 9. კორნი; 12. ფეტელი; 13. გზირი; 14. ხახული; 17. მარალი; 18. ალექსანდრია; 19. კარწახი; 20. ბონუსი.

ჯემალ სეფიაშვილი საქველმოქმედო კონცერტს გამართავს



კომპოზიტორი ჯემალ სეფიაშვილი საქველმოქმედო კონცერტს გამართავს. 4 იანვარს დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდება კომპოზიტორის საშობაო შემოქმედებითი საღამო სახელწოდებით „მიყვარხართ!“, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის 83-ე დაბადების დღეს მიეძღვნება.

საშობაო-საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ მაია ჯაბუა, ეკა კვალიაშვილი, ნუცა ბუზალაძე, ცისანა სეფიაშვილი, ნინო ძოწენიძე, მამუკა ჩარკვიანი, მერაბ სეფაშვილი, თემურ თათარაშვილი, მორის ჯანაშვილი, აჩიკო ნიჟარაძე, გიორგი მეფისაშვილი, „ქართული ხმები“, „თეატრალური კვარტეტი“, „ფორტე“, სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდი, გორის ქალთა კაპელა და „მეკო-სტუდიოს“ ბავშვთა გუნდი.

სპეციალურად ამ კონცერტისთვის კომპოზიტორმა ახალი სიმღერა დაწერა. „სიყვარული გზად და ხიდად“ – ასე ჰქვია სიმღერას, რომელიც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მიხედვით შეიქმნა და მასზე პაატა ნაცვლიშვილმა იმუშავა.

სიმღერის პრემიერა პატრიარქისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე შედგება. სიმღერას ასრულებენ ჯემალ სეფიაშვილი, ნუცა ბუზალაძე, აჩიკო ნიჟარაძე, სამების ტაძრის საპატრიარქო გუნდი, გორის ქალთა კაპელა და „მეკო სტუდიის“ ბავშვთა გუნდი. ახალი სიმღერის არანჟირების ავტორი ბორიკო შხიანია, ხმის ინჟინერი კი – ალეკო ბერძენიშვილი.

კომპოზიტორის საქველმოქმედო კონცერტის მიზანია საზოგადოების თანადგომით, საერთო ძალისხმევით მცირედი წვლილის შეტანა სასიკეთო საქმეში, ზრუნვა მზრუნველობამოკლებული პატარებისა და მოხუცების კეთილდღეობაზე. სწორედ ამიტომ საქველმოქმედო კონცერტიდან შემოსული თანხა სოციალურად დაუცველ ჯგუფებს მოხმარდება. ღონისძიების ორგანიზატორები თემქის მოხუცთა თავშესაფარს, რეგიონში არსებულ ბავშვთა სახლებს და რამდენიმე სოციალურად დაუცველ ოჯახს მოინახულებენ.

განო მელითაური: „დროის ქარტეხილები ვერაფერს დაგვაკლებენ!“

კოტე თოლორდავას მეუღლე განო მელითაური ახალ წელს პირველად შეხვდა საყვარელი ადამიანის გარეშე. განომ კოტეს თაყვანისმცემლებს მისი ვიდეოარქივიდან ერთ-ერთი ჩანაწერი შესთავაზა, რომელშიც სანტას ფორმაში გამოწყობილი მსახიობის ორიგინალური ცეკვაა აღბეჭდილი.

განო მელითაური:

– ჩემო სიცოცხლეო!!! სანუკვარო!!! ყველაზე ნიჭიერო, შეყვარებულო ნათელო ათინათო!!! ჩემო დღესასწაულო, სევდავ, სიბრძნევ!!! ჩემი სხეულის და სულის განუყოფელო, ჩემო მფარველო!!!

ნუ გეშინია! დროის ქარტეხილები ვერაფერს დაგვაკლებენ! ჰო, ბედისწერავ! შენ გეუბნები! სადაც არ უნდა წაგეყვანათ, იმას, რასაც მის მიმართ განვიცდი განზომილების საზღვრები ვერაფერს დააკლებს! ვერც გარდაცვალება მოერევა! რამდენი პირობითი წელიც არ უნდა დამრჩეს დედამიწაზე, რამდენჯერაც არ უნდა მატკინონ გული, მაინც ავდგები! აირევიან ამინდები, მაგრამ გპირდები, წელში გავიმართები, შენს საყვარელ სამოსში გამოვეწყობი და აუცილებლად, აუცილებლად გიპოვნი!

გპირდები, ზუსტად ისე გავზრდი ჩვენს შვილებს, როგორც ერთად ვოცნებობით – ვასწავლი მთავარს – რას ნიშნავს მეორე ადამიანის სიყვარული!

თქვენ კი, მეგობრებო, ყველას განურჩევლად თქვენი ასაკისა, სქესისა, ჩემს მიმართ დამოკიდებულებისა, გისურვებთ, ისე მაგრად გაგიმართლოთ ცხოვრებაში, როგორც მე და კოტე თოლორდავას გაგვიმართლა! ჩემგან საჩუქრად ყველაზე ქარიზმატული სანტა თქვენ!

ინტელექტკლუბმა ბროლის ბუ ირინა ფრუიძეს მიანიჭა

ელიტურმა ინტელექტკლუბმა „რა? სად? როდის?“ წლის სუპერფინალს უმასპინძლა და მერვე სეზონის ბოლო სეზონის დასასრულს გიორგი მოსიძემ შეკრებილ საზოგადოებას ჰკითხა, თუ ვინ იმსახურებდა ბროლის ბუს. რომ-

თამაში ირინა ფრუიძის ექვსეულმა ითამაშა.

ზამთრის სუპერსერიის ფინალში ტელემაყურებლების წინააღმდეგ ირინა ფრუიძის ექვსეული წარდგა გიორგი ბაქრაძის, ჯემალ ბეჟანიძის, დიმიტრი ქიტოშვილის, ვახტანგ ელერდაშვილის, დავით გორგილაძისა და კაპიტან ირინა ფრუიძის შემადგენლობით.

მოაზროვნეებმა ტელემაყურებლების ანგარიშით 6:4 დამარცხება შეძლეს. ინტელექტკლუბის მერვე სეზონი საიუბილეო, 180-ე თამაშით დასრულდა. როგორც ბატონმა წამყვანმა გიორგი მოსიძემ განაცხადა, 179 თამაშიდან 98 მოაზროვნეებმა მოიგეს, 81-ში კი მაყურებლებმა გაიმარჯვეს.

ირინა ფრუიძეს ბროლის ბუ კანდიდატად ირინა ფრუიძე წარადგინა, რადგან ეს ექვსეული სწორედ გუნდის კაპიტანმა ირინა ფრუიძემ შეკრიბა. საბოლოო გადაწყვეტილებით, ბროლის ბუ და 5 ათასი ლარი გუნდის კაპიტანმა ირინა ფრუიძემ მიიღო. ინტელექტკლუბის არსებობის ისტორიაში ირინა ფრუიძე ბროლის ბუთი დაჯილდოებული მე-19 მოაზროვნე გახდა.

სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ნუნუ დევნოსაძე, შვილიშვილები ბექა, ვახტანგ ჯიბლაძეები, და ლია, დისშვილები ბეჟან ლორთქიფანიძე, ციალა, ლამზირა, მარლენ, ბაჩანა დოლიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დანიელ ჯიბლაძე

სამოქალაქო პანაშვიდი: 3, 4 იანვარს, 17 საათზე;
გამოსვენება: 5 იანვარს, 14 საათზე;
მისამართი: ფალიაშვილის ქ. №2, 1 სადარბაზო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

თემურ ყვითელაშვილმა ახალ წელს სიმღერა მიუძღვნა

ვირტუოზმა გიტარისტმა თემურ ყვითელაშვილმა ახალ წელს ახალი სიმღერა მიუძღვნა და მასზე კლიპიც გადაიღო. „ახალ წლის ღამეს“ – ასეთია სიმღერის სახელწოდება, რომლის ავტორიც მერაბ მამულაშვილია. კომპოზიტორმა რეჟისორობაც შეითავსა და კომპოზიციაზე კლიპიც თავად გადაიღო. ლექსის ავტორი გვარამ გვარამიაა, ვოკალი და გიტარის იმპროვიზაცია თემურ ყვითელაშვილს ეკუთვნის, გრაფიკა კი – გიორგი ჩიტაძეს. მუსიკალურ ვიდეორგოლში მონაწილეობენ ლიდა ჩხაიძე, თემურ ყვითელაშვილი უმცროსი, მაია სარალიძე და ეკა სარალიძე.

თემურ ყვითელაშვილი ხშირად არ ანებივრებს თავის ერთგულ მსმენელს კონცერტებითა და ახალ-ახალი სიმღერებით, თუმცა მათი მოლოდინი ნამდვილად ღირს, რადგან ყოველი სიახლე ვირტუოზი გიტარისტისგან ყოველთვის ხარისხიანი და გემოვნებიანია.

გადატვირთული საგასტროლო გრაფიკის გამო მუსიკოსი თბილისში იშვიათადაა, მაგრამ ქართველ მსმენელს არასდროს ივიწყებს. თემურ ყვითელაშვილმა თავისი ახალი ნამუშევარი ინტერნეტში უკვე გაავრცელა და ბევრი მოწონება და დადებითი შეფასებებიც დაიმსახურა.

მარიკო ებრალიძე ახალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა

მომღერალი მარიკო ებრალიძე, რომელიც თბილისის ბიგ ბენდის წევრია და არასოდეს ამბობს უარს სიახლეებზე, ახალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. მან მონაწილეობა მიიღო თსუ არტის სადებიუტო სიდი ალბომის ჩაწერებში. მარიკო ამ ალბომზე სამუშაოდ სპეციალურად მიიწვიეს.

ბენდი 5 წლის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ჩამოყალიბდა. ის საკუთარ შემოქმედებაში სრულიად განსხვავებულ, ხელნაკეთ ინსტრუმენტებს იყენებს და ექსპერიმენტულ-ელექტრონულ მუსიკას ქმნის. ეს არის ინოვაციური, ორიგინალური და უნიკალური ჟღერადობისა და არანჟირების მქონე მუსიკა, რომელიც სრულიად ახალი სიტყვაა ქართულ მუსიკალურ სამყაროში.

ბენდის წევრები არიან პერკუსიონისტები ლაშა ლორთქიფანიძე, ილია ჭუმბურიძე და ირაკლი გოდერძიშვილი, გიტარისტი დათუნა დგებუაძე და დიჯეი და პროდიუსერი ათუკა ედიშერაშვილი.

სადებიუტო სიდი ალბომში 11 კომპოზიცია შევა. მათ შორის იქნება ორი ცნობილი ჰიტის ქავერ ვერსია. ალბომზე ბენდთან ერთად სოლისტებმა მარიკო ებრალიძემ და მეგი მუქერიამ იმუშავეს. თსუ არტის სადებიუტო სიდი ალბომის პრეზენტაცია უახლოეს მომავალში გაიმართება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

TV პროგრამა

ოთხშაბათი 4 იანვარი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩინტო ვეტრინე**" **12.30** ქართ. მხ/ფ "**სიყვარული ყველას უნდა**" **14.05** მხ/ფ "**ბედნიერი გილმორი**" **16.30** დოკ/ფ "ჯეიმი ოლივერი საშობაო სუფრა" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **18.05** დოკ/ფ "უჩვეულო ნაძვის ხეები" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** მხ/ფ "**ბრიჯიტ ჯონსის დღიური**" (რ.ზელვეგერი) **22.10** კონცერტი : ნანი ბრეგვაძე **23.50** მხ/ფ "**როგორ გავყვე მილიონერს ცოლად**" (მ.მონრო) **01.40** მხ/ფ "**როდესაც პოლი გამოჩნდა**" (ჯ.ენისტონი)

08.00, 13.10 დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" **09.00** მხ/ფ "**საიდუმლო ადგილები**" **10.30** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "ტაილანდი" **11.00** მხ/ფ "**ბორეოტების ძალები**" (ტ.ჰენკსი) **12.40** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "ახალი ზელანდია" **14.00, 16.00, 19.00, 22.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **14.50** კონცერტი: გიო და ბიჭები **17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **17.30** ნანა მესხის შემოქმედებითი საღამო **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **23.00** "ნამდვილი დრო" **23.30** მხ/ფ "**აფრიკიდან**" (მ.სტრიპი)

06.00, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" **07.30** მხ/ფ "**12 საშობაო ნატვრა**" **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. "**ოცი წუთი**" **4** სერ. **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**რჩეული**" **12.45** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** კონცერტი: ნანი ბრეგვაძე **00.00** მხ/ფ "**გაქცეული პატარძალი**" (რ.გირი) **02.10** მხ/ფ "**სპპარა**" (პ.კრუსი) **04.15** მხ/ფ "**კეთილშობილი ვენეციელი**" (კ.მორი)

08.00 მხ/ფ. "**STUART LITTLE- 2**" **10.00** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** მხ/ფ. "**HOOK**" **15.40** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.55** სერ. "**შენ,მხოლოდ შენ**" **19.55** სერ. "**აღთქმა**" **22.00** კომედის კონცერტი **2016 00.00** მხ/ფ."**ბედის ირონია ანუ გაამოთ**" **01.00** მხ/ფ. "**LEGEND OF ZORRO**" **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ. "**YOU DON'T MESS WITH THE ZOHAN**"

9.30 სერ. "**ბრეის ანატომია**". **10.30** საახალწლო დოკ/ფ **11.30** მხ/ფ "**პარი პოტერი და ცეცხლოვანი თასი**" **14.30** სერ. "**ცენტრი**". **15.00** ან/სერ. "ავატარი" - ლეგენდა აანგის შესახებ **16.00** მხ/ფ "**მაპეტების საშობაო ზღაპარი**" **17.30** აირჩიე კაბა **18.00** სერ. "**ახალი გოგო**". **18.30** სერ. "**ცენტრი**". **19.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **19.30** სერ. "**ბრეის ანატომია**". **20.30** მხ/ფ "**ბეჭდების მბრძანებელი 1**" **23.30** MTV-ის მუსიკალური ვიდეოების დაჯილდოება **2015 1.10, 3.00, 4.45, 6.30, 8.15** URBAN STORIES **2.00, 3.45, 5.30, 7.15** ჯიდიპედია

06.10 მუს.პაუზა **06.15** ივერიის ეკლესია **06.35** პატერიკი **06.45** ქართული ალბომი **07.10** დ/ფ "პატრიარქობის ჯვარისმტვირთველი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს. პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**თოჯინები ინინიან**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ზამიოკულკასი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართ. ანიმაციური ფილმი **15.35** ბავშვები მუზეუმში **15.50** "პატრიარქისადმი მიძღვნილი საღამო" **17.00** დ/ფ "სტუმრად პატრიარქთან" **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო-საკურთხეველი **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**ივანე კოტორაშვილის ამბავი**" **20.40** ძილი ნებისა "ჩხიკვთა ქორწილი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** პატერიკი-სიხარბის მხილება უფლისგან" **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.25** დ/ფ "საქართველო ჩემი სამშობლო" **22.45** საქართველოს სამართლის ისტორია **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დ/ფ **00.25** ეპოქა-ილია II **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 19.00, 0.30, 4.30** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "ოლივერ ტვისტი" (ჟესტ.) **8.30** "მუსიკალური საღამოები" **9.30** დოკ/სერ "ბარტ ვულფი" **10.00** ან/ფ "ბუშტუკები" **10.30** ქართ./ფ "**აბეზარა**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30** ან/ფ "ბუშტუკები" **13.00, 4.00** დოკ/სერ "პროფესია მოგზაური" **13.30, 1.00** სერ. "**ტატიანა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **16.00** სერ. "**ჩვენ გეერდით**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.30, 5.00** დოკ/სერ "მსოფლიოს საუკეთესო სახლები" **19.05, 2.00** სერ. "**ბერძენი ქალი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**სხვისი ცხოვრება**" **21.30** ქართ./ფ "**შეხვედრა მთაში**" **23.00** მხ/ფ "**ივან ვასილის-ძე იცვლის პროფესიას**" **3.00** სერ. "**სხვისი ცხოვრება**" **5.30** მხ/ფ "**ივან ვასილის-ძე იცვლის პროფესიას**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ჯოსვოხდი

თარაზულად: 5. სწრაფმავალი სამხედრო გემი; 6. ხელოვნების მიღწევათა საზეიმო ჩვენება; 9. ქონებრივი დანაკარგი; 10. რუსი ფერმწერი; 11. მიწისქვეშა ტრანსპორტი; 13. გაზაფხულის თვე; 15. ბალახოვანი მცენარე – ცისანა; 18. სახის საცხი; 21. დახმარება, სიკეთე; 22. ამაღლებული ადგილი მსახიობებისა და მუსიკოსებისთვის; 23. ძვირფასთვლებიანი გვირგვინი.

შვეულად: 1. რძის პროდუქტი; 2. მუხუდო; 3. ბოსტნეული მცენარე, იხმარება მხალად; 4. ზღვის არსება, რომელიც სიმღერით ხიბლავდა მეზღვაურებს (ბერძ.მით.); 7. სამსახურებრივი დავალებით სადმე გაგზავნა; 8. ნავთობპროდუქტების გადამუშავება ბენზინის მისაღებად; 12. კამათი, დავა; 14. ძვირფასბეწვიანი ცხვარი; 16. კანის გაწითლება სისხლის მოწოლის შედეგად; 17. უსამართლო შეთანხმება, რომელსაც ერთი სახელმწიფო თავს ახვევს მეორეს; 19. ქალაქის თავი; 20. სახლის ბანი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ



ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

4 იანვრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3966	ევრო — 2.6137
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5522	100 რუსული რუბლი — 3.2497

ამინდის პროგნოზი 4 იანვრისთვის

კალეიდოსკოპი

გერმანელი პრეზერვატივების ავტომატის გაქურდვას შეეწირა

გერმანიის ქალაქ მიუნსტერის მცხოვრები პრეზერვატივების გასაყიდი ავტომატის გაქურდვის მცდელობის დროს დაიღუპა. ადგილობრივი პოლიციის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შემთხვევა გვიან ღამით ქალაქ შეპინგენში მოხდა.

სამართალდამცავების ინფორმაციით, 29 წლის მამაკაცმა თავის ორ მეგობართან ერთად გადაწყვიტა, ავტომატიდან პრეზერვატივებთან ერთად ფულიც ამოეღო. ამისთვის კი მათ ავტომატში თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა მოათავსეს. შემდეგ ახალგაზრდები იქვე მახლობლად მდგარ მანქანაში ჩაიმალნენ, მაგრამ ერთ-ერთმა მათგანმა აფეთქებამდე კარის მიხურვა ვერ მოასწრო და აფეთქების შედეგად ავტომატის ლითონის ფრაგმენტი თავში მოხვდა.

მეგობრებმა დაშავებული საავადმყოფოში მიიყვანეს, ხოლო ექიმებს განუცხადეს, რომ ვითომდა მათი მეგობარი კიბიდან ჩამოვარდა. ახალგაზრდა მამაკაცის გადარჩენა ექიმებმა ვერ შეძლეს და ის მიღებული ტრავმისგან გარდაიცვალა. ამის შემდეგ დაღუპულის ერთ-ერთმა მეგობარმა სამართალდამცავებს სიმართლე უთხრა. შემთხვევის შედეგად ცოცხლად გადარჩენილი ახალგაზრდები სამართალდამცავებმა ჯერ დააპატიმრეს, მაგრამ შემდეგ გაათავისუფლეს.

ზარმაცმა ფოსტალიონმა საჩუქრები გადაყარა

ნიუ იორკის კუინსის რაიონში მომუშავე ფოსტალიონი ისე გააღიზიანა დასარიგებელი მისალოცი ბარათებისა და საჩუქრების რაოდენობამ, რომ გადაწყვიტა, მათი ნაწილი, უბრალოდ, გადაეყარა. 2 დეკემბერს დენიელ დარბიმ სამი ცალი სანაგვე ტომარა იყიდა, მათში მიღებული ფოსტა ჩატენა და ნაგავსაყრელზე წაიღო. ასეულობით საჩუქრების შეკვრა და მისალოცი ბარათები ორი დღის შემდეგ იქნა აღმოჩენილი. 25 წლის ფოსტალიონმა აღიარა, რომ ზოგიერთი გზავნილი გახსნა, რათა მათ შინაარსსა და შიგთავსს გასცნობოდა.

ფოსტის თანამშრომელს ახლახან ბრალი წაუყენეს გზავნილების ადრესატისთვის ჩაბარების დაგვიანებასა და კორესპონდენციების გაფუჭებაში. მას ხუთი წლის პატიმრობა და ჯარიმის სახით 250 ათასი დოლარის გადახდა ემუქრება.

ტაილანდის მეფის ძაღლი მოკვდა

ძაღლი, სახელად ტონგდენგი, რომელიც ტაილანდის მეფის პუმილონ ადულიადეტის საყვარელი შინაური ცხოველი იყო, სამეფო სასახლეში კლაიკანგვონში ძილში გარდაიცვალა. მონარქი 17 წლის განმავლობაში გვერდიდან არ იშორებდა საყვარელ ძაღლს.

ტაილანდის სამედიცინო უნივერსიტეტის ვეტერინარული ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ ძაღლის გარდაცვალების თაობაზე განცხადება გააკეთა. ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ტონგდენგი ქვეყნის საუკეთესო ვეტერინარების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

ადგილობრივ მედიაში ძაღლი პატივისცემის ნიშნად ხუნად მოიხსენიეს, რაც „ბატონს“ ნიშნავს.

პუმილონ ადულიადეტმ ტონგდენგი ჯერ კიდევ მაშინ შეიფარა, როდესაც ის პატარა ლეკვი იყო. მონარქი პირადად იყო ძაღლის გაწვრთნით დაკავებული და პრაქტიკულად გვერდიდან არ იშორებდა, მაღალი წრის საზოგადოების ღონისძიებების დროსაც კი. 2002 წელს კი მონარქმა თავის ძაღლზე და მის ერთგულებაზე წიგნიც კი დაწერა, შემდეგ კი მისი მიხედვით ანიმაციური ფილმიც კი იქნა გადაღებული. თავად წიგნი კი ტაილანდში ბესტსელერად იქცა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ფაჩულია დალასში საუკეთესოა

სანამ სრულიად საქართველო ახალ წელს ზეიმობდა, ზაზა ფაჩულიამ 3 მატჩი გამართა ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში და 2 ორმაგი დუბლიც გაიფორმა.

ფაჩულიამ სეზონის მე-17 ორმაგი დუბლი ნბა-ს ჩემპიონსა და მიმდინარე სეზონის ლიდერ გოლდენ სტეიტთან გამოჭედა. პლუს დალასელებმა მატჩი მოიგეს. გამარჯვებაცაა და გამარჯვებაც – დალასელებმა მიმდინარე სეზონში მხოლოდ 1 წაგების მქონე გუნდს იოლად მოუგეს – 114:91.

გასულ 30 მატჩში გოლდენ სტეიტს 29 მოგება და ერთადერთი მარცხი ჰქონდა. ოკლენდურმა გუნდმა სეზონი ზედიზედ მოპოვებული 24 გამარჯვებით დაიწყო, რითაც ყველა დროის რეკორდი მთელი 6 მოგებით გააუმჯობესა. ასეთ გუნდთან მატჩში ფაჩულია იყო ერთადერთი მოთამაშე მოედანზე, რომელმაც ორმაგი დუბლი შეასრულა. ზაზას უშუალო ოპონენტმა, ანდრე ბოგატმა კი შეხვედრა 9 ქულით და 10 მოხსნით დაასრულა.

ოკლენდელებს ამ მატჩში დიდი დანაკლისი ჰქონდათ, თუმცა სტივ კარის არყოფნა გოლდენ სტეიტის უმიდო მარცხის გასამართლებად ვერ გამოდგება. დალასელებმა ყველა კომპონენტში დაჯაბნეს გოლდენ სტეიტი და მთელი თამაში ისე ჩაატარეს, სტუმართათვის წარმატების მცირეოდენი შანსიც არ მიუციათ. ამაში ლომის წილი ფაჩულიას მიუძღვის, რომელმაც ორმაგი დუბლი უკვე მეორე პერიოდში შეასრულა.

მთლიანობაში ქართველ ცენტრს ბევრი არ უთამაშია. ამის მიზეზი მატჩისთვის ინტრიგის ნაადრევად დაკარგვა იყო. როცა დალასელთა უპირატესობამ მესამე პერიოდში 20 ქულას გადააჭარბა, შეხვედრის ბედი გაირკვა და ასპარეზი სათადარიგო მოთამაშეებს დაეთმოთ.

სასტარტო ხუთეულში მყოფმა ფაჩულიამ პარკეტზე 24 წუთი გაატარა. ქართველმა ცენტრმა 8-დან 5 ორქულიანი და 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო, რამაც მთლიანობაში 14 ქულა შეადგინა. ზაზა ფარქვეშეთის ბატონ-პატრონი გახლდათ, რასაც მის მიერ მოგროვებული 15 მოხსნაც ცხადყოფს. 14 ქულასა და 15 მოხსნასთან ერთად ფაჩულიამ 2 პასი მიითვალა.

გოლდენ სტეიტის დამარცხების შემდეგ დალასმა მაიამიში წააგო, თუმცა ქართველებს იმით შეგვიძლია გავიხაროთ, რომ ფაჩულიამ მორიგი ორმაგი დუბლი მიითვალა, ეს კი ქართველი ცენტრის მე-18 დაბლ-დაბლი აღმოჩნდა მიმდინარე სეზონში.

დალასელებმა პირველი მეოთხედი 10:22 დათმეს და მას შემდეგ ამაოდ ცდილობდნენ მასპინძელთა წამოწევას. მაიამელები ჰასან უაითსაიდის (25 ქულა, 19 მოხსნა) წინამძღოლობით იოლად მივიდნენ გამარჯვებამდე – 106:82.

ფაჩულია სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 25 წუთში 9-დან 5 ორქულიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩაგდო. ზაზას მონაგარმა საბოლოო ჯამში 14 ქულა, 13 მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი-დაფარება შეადგინა.

ფაჩულიას ჩვეულად ქცეული ულუფის შესასრულებლად მცირედი დააკლდა ნიუ ორლეანთან მატჩში. თუმცა საერთო შედეგიანობით ქართველი ცენტრი დალასში 98:105 წაგებულ მატჩში თავის გუნდში საუკეთესო იყო.

ფაჩულია სასტარტო ხუთეულში იყო და ვესლი მეთიუზთან ერთად მოედანზე თავისიანთაგან ყველაზე მეტი – 35 წუთი გაატარა. ზაზამ 11-დან 6 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. 14 ქულასთან ერთად ქართველმა ცენტრმა 9 მოხსნა, 4 ჩაჭრა, 2 პასი და 1 დაფარება მიითვალა.

19 მოგებითა და 15 წაგებით დალასს დასავლეთ კონფერენციაში მე-5 ადგილი მყარად უჭირავს. მომდევნო მატჩი ფაჩულიას გუნდს კვლავ დალასში 5 იანვარს საკრამენტო კინგსთან ელის.

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

პატრიარქის დაბადების დღეზე საპატრიარქოში მიღება არ გაიმართება

ეკა ირემაშვილი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის 83-ე დაბადების დღესთან დაკავშირებით 4 იანვარს საპატრიარქოში ტრადიციული მიღება არ გაიმართება.

ამ ინფორმაციას საპატრიარქო ავრცელებს.

უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, ერისკაცობაში ირაკლი შიოლაშვილი, 1933 წლის 4 იანვარს ვლადიკავკაზში, გიორგი ღუდუშაური-შიოლაშვილისა და ნატალია კობაიძის ღვთისმოსავ ოჯახში დაიბადა. ვლადიკავკაზის 22-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა მოსკოვის სასულიერო სემინარიაში განაგრძო. სასულიერო აკადემიის მეორე კურსის სტუდენტი ილია მეორე საქართველოს მაშინდელი კათოლიკოს-პატრიარქის, მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით თბილისის წმიდა აღექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში ბერად აღკვეცეს და მას სახელად ილია უწოდეს. ილია მეორემ მოსკოვის სასულიერო აკადემია პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა.

საქართველოს მაშინდელი კათოლიკოს-პატრიარქის, ეფრემ მეორის მიერ არქიმანდრიტი ილია ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის ეპისკოპოსად აკურთხეს, მოგვიანებით კი ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად გადაიყვანეს. ორი წლის შემდეგ ილია მეორე მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანეს. მისმა უწმინდესობამ სოხუმში 11 წელი გაატარა. საქართველოს მაშინდელი კათოლიკოს-პატრიარქის, დავით მეხუთის გარდაცვალების შემდეგ, 38 წლის წინ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა კათოლიკოსი ილია მეორე პატრიარქად აირჩია. ილია მეორის ინტრონიზაცია 1977 წლის 25 დეკემბერს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში გაიმართა.

პატრიარქის აღსაყდრების დროს საქართველოში 15 ეპარქია იყო და დაახლოებით 30-ზე მეტი მოქმედი ტაძარი. დღეისთვის ეპარქიების რიცხვი 46-მდეა გაზრდილი, პატრიარქის ჩათვლით კი, 47 მღვდელმთავარი, მათგან 2 ტიტულარულია.

ილია მეორის პატრიარქობის დროს გაიზარდა ტაძრების, მონასტრების, ბერ-მონაზვნებისა და სასულიერო პირების რაოდენობა. დღეისთვის საქართველოში დაახლოებით 2 ათასამდე მოქმედი ეკლესია-მონასტერია და 3 ათასამდე სასულიერო პირი და ბერ-მონაზონია.

იუმორი

●●●

სვირინგების ოსტატს ეკითხებიან:

– რომელი ყველაზე უჩვეულო სვირინგი გაქვთ გაკეთებული?

– ერთმა მამაკაცმა მთხოვა, მისთვის მუცლის ქვემოთ საცივის რეცეპტი დამეწერა.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– აბა, როგორ არის საქმე, საახალწლო განწყობაზე მოხვედი?

– არა.

– მაშინ მეორე ბოთლსაც მოვიტან.

●●●

გოგონამ მანქანის მართვის მოწმობა აიღო და დედა მანქანით სახლში მიიყვანა. როგორც კი სახლის კართან გაჩერდა, დედა ამბობს:

– მადლობა.

– არაფერს დედა, სამადლობელი არაფერია.

– მადლობას შენ კი არა უფალს ვეუბნები, სახლამდე მშვიდობით რომ მოვედით.

●●●

ერთი ნაცნობი მეორეს ეუბნება:

– საშინლად გამოიყურები.

– წუხანდელი ქეიფის მერე ხო?!

– არა, ბავშვობიდან.

●●●

ახალგაზრდა ახალთახალი მერსედესით მეგობრებთან ერთად მიჰქრის ტრასაზე. ერთ-ერთი მეგობარი ეუბნება:

– გააჩერე, უნდა ჩავიდე. მეშინია.

– ნუ გეშინია, ძლიერი მფარველი ანგელოზი მყავს.

მეგობარმა მაინც გააჩერებინა და ჩავიდა. გზა გაგრძელეს. მცირე ხანში მეორე მეგობარმა მოსთხოვა გაჩერება და მანქანიდან გადასვლა.

– ნუ გეშინია, ძლიერი მფარველი ანგელოზი მყავს, – მასაც გაუმეორა მანქანის პატრონმა.

– არა, მირჩევნია, ფეხით წავიდე.

მცირე ხნის შემდეგ მძღოლს ხმა ესმის:

– გააჩერე, უნდა ჩავიდე!

– შენ ვინ ხარ? – გაუკვირდა ახალგაზრდა მძღოლს.

– შენი მფარველი ანგელოზი.

●●●

მამა ღამით, ძილის წინ, შვილს ზღაპარს უყვება:

– დათვები მიდიოდნენ ველოსიპედებით, მათ უკან კატა მისდევდა, ხოლო მათ უკან კი კოღოები საჰაერო ბურთით...

– მამა, შენ რა, დაბოლილი ხარ? – ეკითხება შვილი.

●●●

რუს მეფეს მოახსენებენ:

– მეფეევ ბატონო, გვეღეშაპს მოშივდა.

– რას ჭამს?

– მხოლოდ ქალწულებს.

– ჰოო, სამწუხაროა, შიმშილით მოგვიკვდება...

●●●

მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, როგორც კი ხელფასს ავიღებ, მაშინვე სიცილი ამივარდება და ვერ ვჩერდები.

– მერე მაგას რა ჯობია, სიცილი სიცოცხლეს ახანგრძლივებს.

– ანუ პენსიამდე მივაღწევ?

– რა თქმა უნდა და, აბა, სიცილი მერე ნახე!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა